# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 23 მარტი 2004 №64 (2083) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვის გამოუყვანენ თურქები ქირესს?

### შენოლ გიუნეშს გუშინ წადი უთხრეს

*მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ჩვენს მეტოქე თურქეთის ნაკრებს ახალი მწვრთნელი ეყოლება. შენოლ გიუნეშისა და ჰალუკ ულუსოის ორკვირიანი დაპირისპირება გუშინ დასრულდა. გიუნეშის კონტრაქტის ვადა ივლისში იწურებოდა და ფედერაციამ შენოლ ხოჯასთან თანამშრომლობის გაგრძელება აღარ ისურვა. საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ოსმალონი შესაძლოა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ ან ჯოვანი ტრაპატონიმ ათამაშოს. თურქულ პრესაში ამ ვარიანტებს განიხილავენ და ბერტი ფოგთსის გვარ-სახელსაც ახსენებენ, თუმც საეჭვოა, რომ ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე სკოლარიმ ან ტრაპატონიმ გზები გაიმრუდონ და სტამბოლისკენ გაუტიონ.*

*შენოლ გიუნეშს გუშინ დავუკავშირდით და უხასიათოდ მყოფმა დაგვიდასტურა, რომ მისი და ფედერაციის გზები გაიყარა.*

*— თქვენ ნაკრების მწვრთნელი ოფიციალურად აღარ ხართ?*

*— დიახ, ასეა.*

*— პრეზიდენტმა ივლისამდე რატომ არ გაცალათ?*

*— მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის მოსამზადებლად ნაკრები ახალ მწვრთნელს მალე უნდა ჩავაბაროთო.*

*— ვინ იქნება ახალი?*

*— არ ვიცი, ვიცი მხოლოდ ის, რომ ულუსოის რამდენიმე კანდიდატი უკვე შერჩეული ჰყავს.*

ვაჟა ხუციშვილი



## ქირესის ბლოკნოტი ყველაზე საინტერესო წიგნი საქართველოში



ზაზა ძაძამიას ფოტო





ზაზა ძაძამიას ფოტო

ზურაბ მუშკუდიანმა სპარტაკული დებიუტი „ვიტ ჯორჯიას“ კარში გატანილი გოლით დაიმშვენა

### გუშინდელი სათასო მეოთხედფინალების სენსაცია, „სპარტაკისგან“ „ვიტ ჯორჯიას“ ძლევა ალენ ქირესმაც ნახა

### IMPRESSION

### ნაკრების ფრანგი მწვრთნელი ქართულ შთაბეჭდილებებს აგროვებს

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის II შესარჩევი ჯგუფი
ჩვენი მეტოქე

# ულუსოიმ თურქეთს თავი მოაჭრა

## შენოლ გიუნეში ვიწროში გაწყვიტეს

*თურქეთის ნაკრები ორი წლის წინ მსოფლიოში მესამე რომ გახდა, ეს ფედერაციის პრეზიდენტისა და მწვრთნელის შეხმატკბილებული მუშაობის შედეგი იყო. ალმას ყოველთვის დალმა მოსდევს და ჩვენს მეზობლებსაც ასე დაემართათ — ევრო 2004-ზე ვერ მოხვდნენ. ცხვირაწეული თურქები ლატვიამ დააჩოქა და შეხმატკბილებული ხალხიც აირია*

### თურქეთი

ჯერ კიდევ შარშანდელ შემოდგომაზე ლატვიასთან მარცხის შემდეგ ქომაგები ულუსოის გიუნეშის მოხსნას უკიჟინებდნენ. მწვრთნელმა წასვლა იუარა, რაკილა კონტრაქტი 2004 წლის 13 ივლისამდე ჰქონდა. გაზაფხულიც მოვიდა და აღმოჩნდა, რომ ნაკრებს ახალი სისხლი სჭირდება. გადახალისებული გუნდით კი გიუნეში პირველივე ამხანაგურ მატჩში დანიასთან დამარცხდა. მას არც ამ წაგების შემდეგ დასცდენია სიტყვა წასვლაზე, მაგრამ აქ საქმეში ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები ჩაერია, რომელიც ასევე ზაფხულის პირველ თვეში გაიმართება.

ჰალუკ ულუსოიმ გადაწყვიტა, რომ კვლავ იყაროს კენჭი და ნაკრებში უცხო მწვრთნელის დანიშვნაზე ალაპარაკდა. უკვე აშკარად ჩანდა, რომ გიუნეშს დარჩენის შანსი შეუმცირდა და გასულ პარასკევს პრეზიდენტი და მწვრთნელი ფედერაციაში ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ. სამსაათიანი საუბრის შემდეგ ისინი ვერაფერზე შეთანხმდნენ გარდა იმისა, რომ ხელახლა შეკრებილიყვნენ. ამასობაში თურქულ პრესაში გავრცელდა ცნობა, თითქოს შენოლ ბეი ჯამაგირის მომატებას ითხოვდა, რაც ულუსოიმ უარყო. გუშინდელ შეხვედრაზე კი გადაწყდა, რომ შენოლ გიუნეში თურქეთის ნაკრების მწვრთნელი აღარ იქნება.

**გაჟა ხუციშვილი**



შენოლ გიუნეშს ახლა ბევრი თავისუფალი დრო ექნება და ვისთანაც უნდა და სადაც უნდა იქ წავა

**ინგლისი**

პრემიერლიგა. XXIX ტური

ლიდსი 2:1 მანჩესტერ სიტი

**გერმანია**

II ბუნდესლიგა. XXV ტური

ლიუბეკი 2:1 ნიურნბერგი

**იტალია**

სერია B. XXXIV ტური

ალბინოლეფე 0:0 ტრიესტინა

აველინო 0:2 ტერნანა

სერია C1/A. XXVI ტური

პადოვა 1:0 პისტოიეზე

**პორტუგალია**

სუპერლიგა
XXVII ტური

მორეირენსე 0:0 ბელენენსეში

**ჰოლანდია**

II დივიზიონი. XXX ტური

აპელდორნი 3:2 კამბური

ემენი 0:2 გრააფსხაპი

დორდრეხტი 1:1 დენ ბოსხი

სიტარდი 1:2 მაასტრიხტი

იგლსი 0:0 ჰაარლემი

ჰელმონდი 0:2 სპარტა

ჰერაკლესი 1:1 ექსელსიორი

ოსი 2:3 ეინდჰოვენი

ვენლო 2:2 ვეენდამი

**ირლანდია**

პრემიერლიგა. II ტური

ლონგფორდი 0:2 ბოჰემიანსი

**ჩეხეთი**

გამბრინუს ლიგა. XXII ტური

სპარტა 0:0 ლიბერეცი



# იტალიელების მოგზაურობა ხიზანიშვილთან

## მაკლიში ზურას დაცვას შეპირდა

*არცთუ მცირე პაუზის შემდეგ ზურაბ ხიზანიშვილი „რეინჯერსის“ ძირითადში დაბრუნდა — სქოთური პრემიერლიგის ბოლო ტურში გლაზგოელებმა შინ ხიზანიშვილის ყოფილი გუნდი „დანდი“ ოთხი უპასუხო გოლით მიტყეპეს, ზურას კი თავისი ამბები გამოვკითხეთ*

— „დანდიმდე“ ექვსი მატჩი არ მეთამაშა — პირველ ორ თამაშზე ჯანზე არ ვიყავი, მომდევნო ოთხში კი არ მათამაშეს.

— „დანდისთან“ მატჩისთვის ჰენინგ ბერგი დაშავდა — ალექს მაკლიშმა უფრო ამის გამო გადაწყვიტა შენი სასტარტოში თამაში?

— არა, „დანდისთან“ ნებისმიერ შემთხვევაში ვითამაშებდი — უკვე კარგ ფორმაში ვარ, მანამდე კი „რეინჯერსის“ მეორე გუნდში ვითამაშე სამი მატჩი.

— გლაზგოში იტალიელები გეწვივნენ — ვინ არიან ისინი?

— ჩემი ორი მეგობარი ბოლონიიდან, მათ ივანო ბონეტისგან ვიცნობ. როცა დანდელი ვიყავი და ტრავმის სარეაბილიტაციო პერიოდს ბოლონიაში გავდიოდი, მათ იქაც ვხვდებოდი. თუმც ფეხბურთთან მათ არანაირი კავშირი არა აქვთ.

— მათი გლაზგოში ჩამოსვლა და შენი „რეინჯერსის“ ძირითადში დაბრუნება ერთი იყო...

— ეგრე გამოვიდა, კარგია, რომ ისინი გლაზგოში ჩამოვიდნენ.

— მაკლიშთან თუ ილაპარაკე პირისპირ?

— მაკლიში დღეს დამელაპარაკა. მითხრა, „დანდისთან“ შენი თამაშით კმაყოფილი ვარ, ხოლო მომდევნო მატჩში „დანფერმლაინთან“ დაცვაში გათამაშებო.

— „დანდისთან“ ნახევარმცველი იყავი?

— ჰო და რაც „რეინჯერსში“ ვარ, მეორედ ვითამაშე საყრდენ ნახევარმცველად — ამ პოზიციაზე მირჩევნია თამაში, რადგან დაცვის გარდა შეტევაც მიწევს.

— 28 მარტს „სელტიკს“ ეთამაშებით, ნაკრებს კი 30 მარტს აქვს მატჩი მანჰაიმში — გერმანელ ახალგაზრდებთან შეხვედრამდე ნაკრებში ვარჯიშსაც ვერ ასწრებს?

— როგორც კი „სელტიკთან“ მატჩი დამთავრდება, აეროპორტში წავალ — სანაკრებო თამაშის წინა დღეს გამოძინებული უნდა ვიყო და ვივარჯიშო.

**დავით თავართქილაძე**

# რატის როსტოვის უკვირს

*როდესაც ცნობილი გახდა, რომ რატი ალექსიძეს „როსტოვში“ უნდა გაეგრძელებინა კარიერა, გულშემატკივართა უმეტესობას გული დასწყდა, რადგან ეს ფეხბურთელი ამ კლუბისთვის არ ემეტებოდათ. არადა, რაც დღეს ხდება, ამას ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, ალექსიძე „როსტოვის“ ძირითადში ვერ დამკვიდრდა. რუსეთის ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩში რატის მეორე ტაიმი ანდეს, „შინიკთან“ კი მხოლოდ 4 წუთი. შესაძლოა, ამაზე გავლენა როსტოველი ფეხბურთელის გაძევებამაც იქონია, მაგრამ ეს ხომ 73-ე წუთზე მოხდა?!*



რას უწუნებს ქართველ ფორვარდს „როსტოვის“ მთავარი მწვრთნელი ვიტალი შევჩენკო? ამის გასარკვევად რატის შევეხმიანეთ.

— სიმართლე გითხრა, არ ვიცი, ჩემგან რა უნდა, შეკრებაზე რამდენიც მათამაშა, იმდენი გოლი გავიტანე. თანაც საქებარი სიტყვები არ დაუკლიათ.

— მიზეზით არ დაინტერესდი?

— რაღაც თავისებური მეთოდი აქვთ. სულ მამზადებენ, თამაშის მერეც ფსიქოლოგიურ მზადებას განაგრძობენ, მაგრამ ეს რაში სჭირდებათ, ველარ ვხვდები. ფორმაშიც ვარ და ჯანზეც. „შინიკთან“ მატჩისას თუ ჭკუიდან არ შევიშლებოდი, არ მეგონა.

— რატომ, ასეთი რა მოხდა?

— შევჩენკომ თამაშის წინ შეკრებაზე მითხრა, ხვალ ძირითადში დაიწყებ თამაშსო. მეორე დღეს კი გადაიფიქრა. ამან მაგრად იმოქმედა ჩემზე.

— „ტორპედოსთან“ მატჩის შემდეგ, პრესკონფერენციაზე შევჩენკომ აღიარა, რომ შენი უთამაშებლობით შეცდომა დაუშვა. შენთვის არაფერი უთქვამს?

— არა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს?! კაცი მეუბნება, ორი ტაიმის თამაშს შეძლებო და 4 წუთს მათამაშებს. არადა, ორ ტაიმს ნამდვილად უპრობლემოდ ვითამაშებ.

— ეგებ ეს ადამოვის გამო ხდება, ის ხომ რუსეთის ნაკრების კანდიდატია?

— არა! დარწმუნებული ვარ, რომ მასზე უკეთეს ფორმაში ვარ და იმასაც ვიტყვი, რომ ვჯობივარ. არ მიყვარს უსამართლობა, „ჩელსი“ რომ იყოს, კიდევ ჰო, მოითმენდა კაცი, მაგრამ აქ?!

— ნაკრებში წასვლაზეც ხომ არ გიქმნიან პრობლემას?

— არანაირს. კვიპროსზე გუნდის თხოვნის გამო არ წავედი, მაშინ მათთან ერთად შეკრების გავლა მეც მჭირდებოდა, მაგრამ ახლა ვერაფერი გამაჩერებს. ჟირესის გაცნობა და მისთვის ჩემის დამტკიცება მსურს. 28 მარტს გერმანიაში ვიქნები.

**დავით ერაძე**

# ალეკო გადარჩა, ერთ ტაიმს გამორჩა

ალეკო ამისულაშვილმა „დინამო 2“-ის შემადგენლობაში უკრაინის მეორე ლიგის მეორე მატჩი ითამაშა. კიეველებმა მეტოქე „ნივა“ 2:1 დაამარცხეს. ალეკომ შეხვედრა ძირითადში დაიწყო, თუმცა მეორე ტაიმისთვის შესაცვლელი შეიქნა, რადგან მარჯვენა ფეხის კუნთი დაეჭიმა. ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და ამისულაშვილი ნაკრებს გერმანიაში აუცილებლად ჩააკითხავს. ეს თავად ფეხბურთელმა დაგვიდასტურა, გუშინ რომ შევეხმიანეთ: „მარჯვენა ფეხზე, ბარძაყის არეში ტკივილები ვიგრძენი, შემეშინდა, საზარდული მეგონა, ამის გამო ხომ ადრე საკმაოდ გამიცდა. საბედნიეროდ, ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა. კუნთი მაქვს დაჭიმული და ექიმებმა მირჩიეს, ორი დღე დამესვენა. ამის შემდეგ ჩვეულებრივ გავაგრძელებ მზადებას და რაც მთავარია, არც ნაკრებს დავაკლდები“.

დავძენთ, რომ „დინამო 2“ — „ნივას“ დაპირისპირებას მიხაილიჩენკო მთელი სამწვრთნელო შტაბით ესწრებოდა.

**დავით ერაძე**



# ჟირესმა ბევრი იცინა

## დავით ყიფიანის თასი

### მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

თბილისი. 22 მარტი. 15 საათი. ოლიმპიკი. 300 მაყურებელი

### სპარტაკი 1:0 ვიტ ჯორჯია

| | |
|---|---|
| 1:0 მუშკუდიანი (30) | |
| სპარტაკი: დევაძე, დონდოლაძე, ჟვანია, ჩიკვილაძე, ა. იმნაიშვილი, ლ. ვაშაკიძე, მჭედლიშვილი, კიკნაძე (კვერენჩხილაძე 63), ტატანაშვილი (ტაბიძე 79), ჯანგიძე, მუშკუდიანი (ი. სამხარაძე 69) *სათადარიგონი:* გრძელიძე; მალლაფერიძე, ს. შელია, კ. შალამბერიძე მწვრთნელი: მურთაზ ხურცილავა | ვიტ ჯორჯია: მამარდაშვილი (ბედიაშვილი 46), დათუნაიშვილი, ინწკირველი, ლ. მერებაშვილი (ე. მერებაშვილი 58), იმედაშვილი, დიღმელაშვილი, ლ. ნოზაძე, ადამია, ვ. გოჩაშვილი, გოცირიძე (ებანოიძე 69) *სათადარიგონი:* კვახაძე, ი. შენგელია, გველესიანი, მარცვალაძე მწვრთნელი: ზურაბ ბერიძე |
| გაფრთხილება: მჭედლიშვილი (80), ჩიკვილაძე (85), დათუნაიშვილი (89) | |
| მსაჯები: მ. მალაღურაძე; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); ზ. ანიაშვილი (გორი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე | |



გატანილი და გამტანი: ზურაბ მუშკუდიანი



**დავით თავართქილაძე**

**ალენ ჟირესმა** ტაიმებს შორის შესვენებაზე ჯამბაზ-იმიტატორ ოთარ მამასახლისის ტრადიციულ შოუს უყურა და იცინა, „ვიტ ჯორჯიას“ კი საქმე სასაცილოდ სულაც არ აქვს — ასეთი თამაშით ვიტელებს შინაც გაუჭირდებათ „სპარტაკთან“.

ფუროორი-თამაში არც „სპარტაკს“ უჩვენებია, მაგრამ „ვიტ ჯორჯიას“ მაინც ეყო — მურთაზ ხურცილავას გუნდი დაუქსაქსავად, მხნედ ირჯებოდა და ზეექვსეულის ერთ-ერთ ლიდერთან საპასუხო მატჩზე ფორით წავა.

პირველ წუთებში თამაში თანაბარი იყო. როცა „სპარტაკმა“ დაინახა, „ვიტ ჯორჯია“ დიდი ხვითო არ იყო, უფრო თამამად წავიდა შეტევაში. თუმც კომბინაციური თამაში მეტოქეებს არ გამოსდიოდათ, რაშიც ქარი და უხარისხო მინდორიც იყო დამნაშავე.

გოლი კი ასე გავიდა — ჯანგიძემ მაღალი ბურთი გადაავლო ვიტელთა მცველებს, რითაც მუშკუდიანი პირისპირ შეეყარა მამარდაშვილს და მორიგულად კუთხეში გაუტანა.

გაშვებულმა გოლმა „ვიტ ჯორჯია“ მაინცდამაინც ვერ გაახელა. ერთი ეგ იყო, იმედაშვილის ფლანგურ ჩაწოდებაზე გოცირიძემ სპარტაკელ მცველებს დაასწრო, მაგრამ არაზუსტი თავური გამოუვიდა.

მეორე ტაიმი „ვიტ ჯორჯიამ“ შმაგად დაიწყო — სტუმრებმა სისწრაფეს, აგრესიულობას უმატეს და „სპარტაკიც“ წნეხის ქვეშ მოაქციეს. ადამიამ კუთხური ჩააწოდა და გოცირიძის თავური „სპარტაკის“ ერთ-ერთმა მცველმა გამოიტანა. შემდეგ დეკანოსიძის ლამაზი პასით ადამიას უნდა გაეტანა, თუმც ხარიხას გადაავლო ბურთი. მერე დევაძემ გოჩაშვილს აულო ახლოდან და ძლიერად დარტყმული. ცოტაც და, გოჩაშვილს მორიგი საგოლე შანსი მიეცა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა — ჩამოთვლილი ეპიზოდები „სპაარტაკის“ კარში გოლს ამწიფებდა, თუმც „ვიტ ჯორჯიას“ მუხტი აღარ ეყო ასაფეთქებლად — ვიტელები თითქოს დაგრილდნენ.

რაღა ჩაინიშნა ბლოკნოტში მუსიე ჟირესმა? საქართველოს ნაკრების ექსგოლკიპერი აკაკი დევაძე ალბათ ერთადერთი იყო, ჟირესის ყურადღებას ვინც მიიქცევდა — დევაძეს გუშინ ვარსკვლავები არ მოუწყვეტია, მაგრამ გამოცდილ თვალს მისი კლასი არ გამოეპარებოდა.

გორი. 22 მარტი. 15 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 1 500 (ტევადობა 8 000)

### დილა 0:0 თბილისი

| | |
|---|---|
| დილა: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, რ. ხაჭაპურიძე (ბ. შელია 66), ლომიძე, ზ. ლაცაბიძე, გ. ჩიტაია, სულთანიშვილი, ჯობაძე (შატაკიშვილი 58), ლ. გოჩაშვილი, ბ. ჩიტაია, ძოძუაშვილი (გ. მოდებაძე 71) *სათადარიგონი:* თ. ილურიძე; საყვარელიძე, ხანიშვილი, მასურაშვილი მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი | თბილისი: გრიშიკაშვილი, გ. კვარაცხელია, ქემოკლიძე, ელიავა, დ. ოდიკაძე, მესხი, ხოჯავა, გ. ნუგ. ჭელიძე, აფციაური, ფიფია, გ. ნოდ. ჭელიძე *სათადარიგონი:* ნაჭყეპია; გეწაძე, ჯიქია, გოგიტა გოგუა, სიდამონიძე, მიქიაშვილი მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი |
| მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), კ. გაბრიაძე (ქუთაისი); დ. სანაია (სოხუმი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში | |



გუშინდელი მატჩის ჩვეული ეპიზოდი: თბილისელებმა მეტოქე ალყაში მოიქციეს

# ამნისტია
## ფრე იქა, გოლი აქა

**კახა შალამბერიძე** გორიდან

**გუშინდელი** „დილა“—„თბილისის“ მთავარი ამბავი: გორულ კლუბს ათ-ათი თამაშით დისკვალიფიცირებული ლევან გოჩაშვილი და მერაბ ძოძუაშვილი დაუბრუნდნენ. გეხსომებათ, ისინი ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ბოლნისის „სიონთან“ მატჩში მსაჯ კახა მესხის ცემისთვის იხდიდნენ სასჯელს და გვარიანი შესვენების შემდეგ გუშინ დაუბრუნდნენ მოედანს. სხვათა შორის, ორივემ საკმაოდ კარგად ითამაშა, თუმც მეორე ტაიმში დაღლა დაეტყოთ და აკი ძოძუაშვილი შეცვალეს კიდეც.

შეხვედრამ ბევრი წუნით, მაგრამ საინტერესოდ ჩაიარა. თითქოს პირი შეკრესო, „დილამაც“ და „თბილისმაც“ დაცვაზე უარი თქვეს და ერთმანეთის კარისკენ უკანმოუხედავად გაიწიეს. ჰოდა, პირველ შვიდ წუთშიც ორი რეალური მომენტი შეიქმნა.

მე-6 წუთზე ორი ჭელიძის ლამაზი კომბინაცია ვნახეთ — ნოდარის ძემ ნუგზარის ძე გაიყვანა დასარტყმელად, თუმც ბურთმა ხარიხა შეაზანზარა. ამ მომენტიდან წამები იყო გასული და ახლა „დილამ“ გაინავარდა: გაგა ჩიტაიას ჩაწოდებულს ჰაერში გაწოლილმა ძოძუაშვილმა თავური დაამგერა, ოღონდ ოდნავ არაზუსტად.

გუნდები ამის მერეც ცდილობდნენ ხიფათის შექმნას, მაგრამ საჯარიმოში შესულებს სიზუსტე ღალატობდათ, ერთ ეპიზოდში კი რევაზ ხაჭაპურიძემ იყოჩაღა — დასარტყმელად შემართულ ფიფიას ბურთი ბოლო წამს ააცალა ფეხიდან.

ფიფიას მეორე ტაიმშიც შეეძლო გორელთა დამწუხრება, თუმც სოლოლაშვილმა აჯობა. 63-ე წუთზე კი გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძემ ისეთი ააცილა... საჯარიმოდან დარტყმული ჯერ მეკარემ აუღო, დამატებაზე თავადვე მიუსწრო და ორი მეტრიდან ცარიელ კარს გააშორა.

მომენტები კიდევ იყო და ამათში ყველაზე მეტად გორელებს არ გაუმართლათ — ბექა ჩიტაიამ ახლოდან უხეიროდ მოიქნია ფეხი და...

გორელთა შტურმისმაგვარი უშედეგო კი გამოდგა, მაგრამ გვარიანად ააფორიაქა თბილისელი მცველები. საბოლოოდ, გიორგი დევდარიანის ბიჭებმა მაინც მოახერხეს სასურველი ანგარიშით თამაშის დასრულება და ბოლო წუთებზე ხოჯავასაც რომ ემარჯვა, ცალ ფეხს ნახევარფინალში შეყოფდნენ.

მატჩის მიწურულს გაწევ-გამოწევაც იყო. ხოჯავა და ბალაშვილი ერთმანეთს გაექაჩნენ და მსაჯ ალექსანდრე შილაკაძეს მათი შერიგება მოუხდა.

ერთი სიტყვით, როგორც ფეხბურთში იტყვიან, გუნდები საბრძოლო ფრით გაიყარნენ. საპასუხო მატჩში უპირატესობა, ცხადია, „თბილისისაა“, თუმც სტუმრად ნათამაშები ნულოვანი ფრე მშვიდ ძილს რომ არ ნიშნავს, ყველამ იცის...



სასჯელმოხდილი მერაბ ძოძუაშვილი ბევრს ეცადა, მაგრამ ამნისტია გოლით ვერ აღნიშნა

# შუშაკი მინდორზე გვეპატიჟება

თბილისი. 22 მარტი. 17 საათი. ეროვნული. 1 500 (ტევადობა 70 900)

## დინამო 2:0 ბათუმი

| | |
|---|---|
| 1:0, 2:0 გოგობერიშვილი (72, 90) | |
| **დინამო:** ზოიძე, კარლოსი (კაშია 76), წერეთელი, შაშიაშვილი, ლ. სილაგაძე, კვირკველია, ნემსაძე (რომერო 66), გოგობერიშვილი, ანჩაბაძე, მ. ბობოხიძე (კაკალაძე 52), იაშვილი<br>სათადარიგონი: გვარამაძე; კანდელაკი, ქოქიაშვილი, მელქაძე<br>**მწვრთნელი:** ივო შუშაკი | **ბათუმი:** ქვაჩახია, ბეგლარ თედორაძე, გალოგრე, მახარაძე, მანჩხავა, გვიანიძე, ბესიკ თედორაძე, დარჩიძე (დუმბაძე 87), ქაცარავა (ი. ხაჭაპურიძე 46), სირბილაძე (ფურცხვანიძე 83), ფირცხალაიშვილი<br>სათადარიგონი: ი. ბალაძე; მ. სალუქვაძე, ბეჟანიძე<br>**მწვრთნელი:** ასლან ბალაძე |
| **მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი) | |
| **სფფ-ის ინსპექტორი:** ვ. ბარქაია | |



ჩახლართული სიტუაცია: მიხეილ ბობოხიძე ზურაბ ქვაჩახიას ვერ გასცდა

**დავით ერაძე**

**საჩემპიონატო** „დინამო“—„ლოკომოტივის“ შემყურე ნაკრების ფრანგმა მწვრთნელმა ალენ ჟირესმა ტემპი დაიწუნა. საინტერესოა, საგანგებოდ მისთვის დათქმულზე ორი საათით გვიან დაწყებულ „დინამო“—„ბათუმის“ სათასო მატჩზე რას იტყოდა?... მიუხედავად იმისა, რომ ეს არ იყო „დინამოს“ საუკეთესო მატჩი, ფრანგი ალბათ ყურადღებას მიაქცევდა შაშიაშვილის, კვირკველიას, წერეთლისა და გოგობერიშვილის ყოჩაღობას. ალეკო ალბათ ამ შეხვედრაში საუკეთესოც იყო არა მხოლოდ გოლების, არამედ სასარგებლო თამაშის გამოც.

პირველი ტაიმის პირველი სახიფათო მომენტი სწორედ გოგობერიშვილის შორეულ დარტყმას მოჰყვა. მე-14 წუთიდან კი „დინამო“ მეტოქის ნახევარზე დასახლდა. უკან სილაგაძე-შაშაიშვილ-წერეთლის ტრიო ირჯებოდა. ფლანგები კვირკველიას და კარლოსს ებარათ. თუ ბრაზილიელს ექსდინამოელ მანჩხავასთან დუელისას გაუჭირდა, კვირკველიამ გაილაღა. საგოლედ პირველად სწორედ კვირკველიამ შეუტია. მის დარტყმულს კართან მცველები ალუდგნენ და არ გაატანინეს. მომდევნო შეტევისას დინამოელებმა კუთხური ჩააწოდეს. წერეთელი ყველაზე მაღლა ახტა და გოლის ალსანიშნადაც მოემზადა, მაგრამ ბურთს კარის ხაზზე მანჩხავა დახვდა.

„დინამო“ ისე გაერთო შეტევებით, რომ დარჩიძემ კინაღამ აქეთ გაუტანა. ბათუმელი ზოიძესთან პირისპირ გავიდა და მასაც გასცდა, მაგრამ დარტყმა ოდნავ დააზანა, რაც გამოცდილი მეკარისთვის საკმარისი აღმოჩნდა.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, ბათუმელთა საჯარიმოში ბობოხიძე რომ წაიქცა, ფანიაშვილის სასტვენი კი დუმდა. საქმე ასე იყო: ბობოხიძე ქვაჩახიას თითქოს გასცდა, მაგრამ მის გამოწეულ ფეხს ველარ და ისე დაეცა, რომ თამაში ველარ გააგრძელა და კაკალაძით შეცვალეს. 51-ე წუთზე ქვაჩახია უკვე სხვაგვარად გამოირჩა: იაშვილის 7 მეტრიდან დარტყმულს საოცარი რეაქცია შეაგება. მერე სტუმრებმა კიდევ ერთხელ დაინდეს მასპინძლები: მანჩხავამ ხელსაყრელ პოზიციაში მყოფი სირბილაძე მონახა, ამან კი ბურთს ლონივრად დარტყმის ნაცვლად მოუცაცუნა და მომენტიც გაფუჭდა.

თავის აქაურ და ჯერ ხანმოკლე კარიერაში საუკეთესო მატჩი ჩაატარა ბრაზილიელმა რომერომ. შეცვლაზე შესულმა თამაშის გამწვავება მოახერხა. სწორედ მის გამოზომილ პასს მოჰყვა გოლი. რომერომ უზუსტესად გადააწოდა კვირკველის და ორი ბათუმელი უქმად დატოვა. კვირკველიამ დაბალი ბურთი ჩააწოდა, საჯარიმოს კუთხეში მყოფმა გოგობერიშვილმა კი ლონივრად დაჰკრა და ანგარიში გაიხსნა. საკმაოდ დინამიური და ლამაზი ეპიზოდი გამოვიდა. 77-ე წუთზე გოგობერიშვილმა 26 მეტრიდან შეასრულა საჯარიმო, რომელიც სანტიმეტრებით ასცდა კარს. ალეკომ ამ შეხვედრაში დუბლი მაინც გააზერხა: დამატებულ წუთებზე პირველის ტყუპისცალი გოლი გაიტანა და საპასუხო შეხვედრისთვის, ფაქტობრივად, საეჭვო აღარაფერი დატოვა.

**ასლან ბალაძე**: ოჯახური პირობების გამო გუნდთან არ ვიყავი, თუმცა ინფორმაციას ვფლობდი. ალბათ ურიგო თამაში არ იყო, ჩვენს კარში გატანილი გოლები „დინამოს“ სიძლიერემ განაპირობა და არა ჩემი ფეხბურთელების შეცდომებმა. ჩვენმა ტაქტიკამ პირველ ტაიმში გაამართლა, მეორეში კი „დინამომ“ გააზრებული დაწოლა გააძლიერა და ორჯერ გაიტანა კიდეც. კარგი იქნებოდა, მინიმალური ანგარიში შეგვენარჩუნებინა, თუმც მიუხედავად ამისა, ვთვლი, რომ დაკარგული მაინც არაფერია.

**ივო შუშაკი**: თასი სპეციფიკური შეჯიბრებაა, რომელშიც ფავორიტებად შერაცხული გუნდებიც ხშირად მარცხდებიან. ვიცოდი, ძნელი თამაში გველოდა, ვინაიდან მეტოქე დაცვას გააძლიერებდა. ჩვენს ამოცანას უხარისხო მინდორიც ართულებდა. თავად გაიარეთ და დარწმუნდებით, რომ სწრაფი ფეხბურთისა და ზუსტი პასებით თამაში შეუძლებელია. მეორე ტაიმში აქცენტი შეტევაზე გავაკეთეთ და დაგვიფასდა კიდეც. 2:0 მომდევნო ეტაპზე გასვლის გარანტიას არ გვაძლევს, მაგრამ ვთვლი, რომ სოლიდური ფორაა.

რაც შეეხება ჟირესისთვის რამის რჩევას, ეს ჩემი სტილი არ არის. იგი თავად ესწრებოდა თამაშს და დარწმუნდებოდა, რომ „დინამოში“ არიან ფეხბურთელები, რომლებსაც ნაკრებში კარგად თამაში შეუძლიათ.




# პოლიტმეტაფორა პოლიტზონიდან

**გიორგი მურვანიძე** ბათუმიდან

**აგერ, ახლა იყო,** ჩოლოქს მთელი საქართველო შიშით რომ შესცქეროდა. ცენტრსა და რეგიონს შორის გამწვავებული ურთიერთობისა და ჩოლოქის სიახლოვის მიუხედავად, სათასო მეოთხედფინალის მატჩი ნორმალურ ვითარებაში ჩატარდა.

რაღა თქმა უნდა, ფავორიტებად სტუმრები ითვლებოდნენ და აკი ტორპედოელთა უპირატესობა მთელი მატჩის განმავლობაში საგრძნობი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მოედნის ცუდი საფარი ტექნიკური თამაშის საშუალებას არ იძლეოდა, ქუთაისელებმა ამაშიც საგრძნობლად დაჯაბნეს მასპინძლები. პირველი ხიფათი ქობულეთელთა კართან მე-14 წუთზე შეიქმნა, როცა მარცხენა ფლანგიდან დავითაშვილის ჩაწოდებულ ბურთს ჭელიძემ თავი მიაყოლა — მასპინძლები ძელმა იხსნა. „ტორპედოს“ შეტევები არ შენელებულა, მასპინძლებს აშკარად უჭირდათ სტუმრების გამკლავება და მალე ქუთაისელთა იერიში გოლითაც დასრულდა: დავითაშვილის ჩინებული პასი-ბაბუნაშვილი-ზუსტი დარტყმა და გოლი.

ამ დროის მანძილზე „ქობულეთი“ სტუმართა ნახევარზე არც გადასულა, ბაბუნაშვილი და დავითაშვილი კი აგრძელებდნენ ქობულეთელთა დაწიოკებას. 39-ე წუთზე ამ ტანდემმა როლები გაცვალა. ამჯერად ასისტენტი ბაბუნაშვილი იყო და დავითაშვილმა გაიტანა — 0:2. ტაიმის დასასრულს კი „ტორპედოს“ კაპიტანმა ბაბუნაშვილმა თავისი მეორე გოლით „ქობულეთს“ ხელი საბოლოოდ მოუთავა: ქუთაისელმა მასპინძელთა საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და გაბუნიასთან პირისპირ დარჩენილს გატანა აღარ გასჭირვებია.

თუ შესვენებამდე დავითაშვილ-ბაბუნაშვილს გამოვარჩევდით, მეორე ტაიმში ბოლქვაძე გახდა ყველაზე შესამჩნევი ფიგურა. სტუმართა ყველა შეტევა მისი „ნახელავი“ იყო.

„ქობულეთმა“ ერთადერთი მომენტი შექმნა, თუმც შეცვლაზე შესულმა ლლონტმა ისიც ვერ გამოიყენა: სტურუასთან პირისპირ დარჩენილმა უხეიროდ დაარტყა. ოთხ წუთში კი ბოლქვაძის ჯერიც დადგა და ანგარიში კიდევ უფრო გაიზარდა.

ქუთაისელები საკუთარი სიამოვნებისთვის თამაშობდნენ, ბურთს აგორებდნენ და ქვედალიგელ მეტოქეს არაერთი საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარეს.

სულ ბოლოს კი ისევ ბოლქვაძემ იყოჩაღა. მასპინძელ მცველებს ბურთი აართვა და ჩხეტიანი გაბუნიას პირისპირ შეატოვა. მანაც უზადოდ დაარტყა და „ტორპედოს“ ხუთიანი დაეწერა.

მოკლედ, „ტორპედომ“ საქმე ქობულეთშივე გაიკეთა. ახლა ასლან აბაშიძის გადადგომა უფროა მოსალოდნელი, ვიდრე „ქობულეთის“ შემდეგ ეტაპზე გასვლა.

ქობულეთი. 22 მარტი. 15 საათი. ცენტრალური. 300 (ტევადობა 8 000)

## ქობულეთი 0:5 ტორპედო

| | |
|---|---|
| 0:1 ბაბუნაშვილი (24), 0:2 დავითაშვილი (38), 0:3 ბაბუნაშვილი (44), 0:4 ბოლქვაძე (55), 0:5 ჩხეტიანი (82) | |
| **ქობულეთი:** გაბუნია, თურმანიძე, ბერიძე, ოქროპირიძე, კვესაიშვილი, ხვიჩია, ჩაბუნაშვილი, ჯინჭარაძე, ხუჭუა (გოგმაჩაძე 73), კვერნაძე (ლლონტი 46), კრავეიშვილი<br>სათადარიგონი: თასეიშვილი; გოგიშვილი, ნაჭყებია<br>**მწვრთნელი:** ავთანდილ გორგილაძე | **ტორპედო:** სტურუა, მახვილაძე, ლ. ჭელიძე, ს. თოდუა, მემარნიშვილი (გ. ჩხეტიანი 46), გამეზარდაშვილი, კოშკაძე, ბოლქვაძე, ნერგაძე, ბაბუნაშვილი (ჭინჭარაული 46), დავითაშვილი (ზუციშვილი 61)<br>სათადარიგონი: გ. გაბელია; ადუაშვილი, მუმლაძე, გ. დარსაძე<br>**მწვრთნელი:** ოთარ გაბელია |
| **მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); კ. მესხი (ზუგდიდი) | |
| **სფფ-ის ინსპექტორი:** ე. სილაგავა | |



შოთა ბაბუნაშვილი

# საქართველოს ნაკრები დაუჯდა



გიორგი დემეტრაძე უკრაინის მეგოლეებში პირველია

**გიორგი დემეტრაძე** 10 გოლით უკრაინის ჩემპიონატის ბომბარდირებს თავში ჩაუდგა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ჩვენებურმა „ილიჩევეცთან“ 5:1 მოგებულ მატჩში გაიტანა და აქამდე თანაბარგოლიან დინამოელ მაქსიმ შაცკიხს გადაასწრო. „დემემ“ გოლის გარდა ორი საგოლე პასიც ჩაიწერა და მატჩშიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო. უკრაინელი ჟურნალისტების თქმით, ქართველმა თავდამსხმელმა ჩვეული „პად სებიებით“ აწამა მარიუპოლელი მცველები, რაც დაუფასდა კიდეც. დონეცკის „მეტალურგი“ კი ისევ მეოთხე ადგილზეა და კვლავაც კარგი შანსი აქვს, უეფას თასის საგზური მოიპოვოს.

ლევან ქებაძის დარ სერიაზე ბარე ორი თავდამსხმელი იოცნებებდა. უკვე ზედიზედ მეექვსე მატჩია, ქებაძეს გოლი გოლზე გააქვს. 16 თამაშში 14 გოლის მომქუჩებელი ქართველი ფორვარდი ბომბარდირთა დავაში ახლა მეოთხეა და ოდენ 4 გოლით ჩამორჩება პირველადგილოსანს.

ლევანისგან განსხვავებით თემურ ქეცბაიას გოლები, ასაკის მიუხედავად, გასაკვირი არაა. „ბებერი ქეცბა“ კვლავაც დიდი ძალაა „ანართოსისისთვის“, რაც გუშინწინდელ მატჩშიც გამოჩნდა — თემურის გოლით „ანართოსისი“ კონკურენტ აელ-ს ამარცხებდა, თუმც სტუმრებმა მსაჯის სასტვენს წამით დაასწრეს და — 1:1. ანართოსისელმა გაბიდაურმა და აელელმა მაღრაძემ სრულად ითამაშეს. წიტაიშვილი კი 89-ე წუთზე შეცვალეს.

ზურაბ ხიზანიშვილი „რეინჯერსის“ ძირითადს დაუბრუნდა. ბოლო ოთხი ტურია, ახალგაზრდა ქართველ მცველს გლაზგოური გრანდის სათადარიგოთა სკამზე თუ ვხედავდით. მისი უთამაშებლობა ბევრისთვის გამოცანად რჩებოდა — ალექს მაკლიში ჩვენებურისთვის ქების სიტყვებს თითქოს არ იშურებდა, თუმცა მაინც არ ენდობოდა. ახლა ყველაფერი შეიცვალა და „ხიზანაც“ მოედანს იმ გუნდის წინააღმდეგ დაუბრუნდა, რომელშიც გაითქვა სახელი. პატარა „დანდი“ დიდ „რეინჯერსთან“ ვერაფერს გახდა და 0:4 დამარცხდა. „ჩაფრები“ კვლავაც მეორე ადგილზე არიან, თუმცა ჩემპიონობაზე ოცნება უკვე დაობებულია — მოსისხლე „სელტიკს“ უზარმაზარი უპირატესობა აქვს.

გერმანელმა ქართველებმა მშვიდობა ისურვეს. „ფრაიბურგმა“ და „შალკემ“ შესაბამისად „მიუნხენი“ და „ჰანოვერი“ შეითანხმეს ფრეზე და თითო ქულა შეიმატეს მარაგში. ფრაიბურგელმა იაშვილმა სრულად ითამაშა, ცქიტიშვილი კი 53-ე წუთზე შეცვალეს. ცხადია, არ უთამაშია ტრავმირებულ შალკელ კობიაშვილს.

ფრეების წვიმა იყო რუსეთშიც. თუ რომელიმე კლუბში ქართული გვარი გაერია, ყველამ ფრედ ითამაშა. ამათგან მოულოდნელი „ლოკომოტივის“ ვერმოგება იყო. რკინიგზელები დებიუტანტ „ამკარს“ დაუზავდნენ, არადა, დიდი შანსი იყო წაეგოთ: სტუმარ პარამონოვს პენალტი გაუცუდდა. კუნთდაჭიმული ასათიანის გარეშე მოთამაშე მოსკოველებს შეტევაში მიხეილ აშვეთიას იმედი ჰქონდათ, თუმც ჩვენებური ტანმაღალ ამკარელებთან დაიჩაგრა. რუსი ჟურნალისტების თქმით, აშვეთიას ფიზიკურად ძალიან უჭირდა პერმელთა დაცვაში ხეირის ნახვა და 69-ე წუთზე შეცვალეს კიდეც.

რუსეთში მობურთალ სხვა ქართველთაგან ოდენ ორმა ითამაშა — ალანიელმა ლევან გვაზავამ და როსტოველმა რატი ალექსიძემ.

მოლდოვაში ნაციონალური ლიგა განახლდა და ქართული დებიუტიც შედგა: თბილისის „ლოკომოტივის“ ყოფილი ნახევარმცველი მურთაზ ბურნაძე მე-80 წუთზე გამოჩნდა „შერიფში“. ტირასპოლელებმა 3:0 დაამარცხეს „დაჩია“ და კვლავაც პირველ ადგილზე არიან.

სამწუხარო ამბავი შეემთხვა გოგა გახოკიძეს. „უტრეხტთან“ მატჩში მწვრთნელმა იგი მეორე ტაიმში შეუშვა მოედანზე, თუმც 17 წუთში დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა. „ტვენტემ“ კი 0:2 წააგო და წარმატებულ სერიას ზედიზედ ორი მარცხი მიაყოლა (წინა ტურში შინ „ნაიმეგენთან“ 2:5 დამარცხდა).

ტრავმირებულები გახოკიძე, კობიაშვილი, არველაძე, ასათიანი... ამათ დაუმატეთ უთამაშებელ-უპრაქტიკო კალაძე, ამისულაშვილი, დარასელია, ხიზანეიშვილი, ლომაია, სულაც უგუნდო რეხვიაშვილი და... სადაა საქართველოს ნაკრები?

**ქახა ზალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | პარმა 3:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 4 | 0 | 1 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ჰანოვერი 2:2 | 0 | ტრავმირებულია | 22 | [illegible] | [illegible] |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | მიუნხენი 1:1 | 90 | | 23 | [illegible] | [illegible] |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | მიუნხენი 1:1 | 53 | შეცვალეს | 20 | 4 | 11 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | შ | ალენი 2:0 | 25 | შეცვლაზე ითამაშა | 23 | 6 | 11 |
| დავით სირაძე | უნიონი | ს | რეგენსბურგი 1:3 | 15 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 0 | 16 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | ბრეგენცი 1:2 | 90 | გააფრთხილეს | 18 | 1 | 7 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | შ | დანდი 4:0 | 0 | ტრავმირებულია | 16 | 12 | 2 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | შ | დანდი 4:0 | 90 | | 16 | 0 | 2 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | ს | უტრეხტი 0:2 | 17 | შეცვლაზე ითამაშა, შეცვალეს | 24 | 2 | 7 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | აარაუ | ს | ბაზელი 1:3 | 90 | | 5 | 4 | 8 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | ამკარი 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 1 | 0 | 2 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | შ | ამკარი 0:0 | 69 | შეცვალეს | 2 | 0 | 2 |
| რომან ახალკაცი | ლოკომოტივი | შ | ამკარი 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | შ | ტორპედო 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 11 |
| ლევან გვაზავა | ალანია | შ | ტორპედო 0:0 | 67 | შეცვალეს | 2 | 0 | 11 |
| რატი ალექსიძე | როსტოვი | შ | შინიკი 0:0 | 4 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 16 |
| გიორგი ლომაია | სპარტაკი | ს | სატურნი 2:2 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 6 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | დინამო | შ | ცსკა 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 7 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | ს | ალანია 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | შ | ილიჩევეცი 5:1 | 90 | | 16 | 1 | 4 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | შ | ილიჩევეცი 5:1 | 90 | 1 გოლი, 2 საგოლე პასი | 15 | 10 | 4 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | დინამო | ს | ვორსკლა 3:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| ზურაბ იონანიძე | ტავრია | შ | ობოლონი 1:1 | 0 | სათადარიგო | 15 | 2 | 15 |
| გია ჭანტურია | ტავრია | შ | ობოლონი 1:1 | 90 | | 4 | 0 | 15 |
| გიორგი იმედაძე | ტავრია | შ | ობოლონი 1:1 | 90 | | 2 | 0 | 15 |
| კახა ჩხეტიანი | ტავრია | შ | ობოლონი 1:1 | 90 | | 2 | 0 | 15 |
| ზვიად ჩხეტიანი | ტავრია | შ | ობოლონი 1:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 15 |
| გოჩა ტრაპაიძე | ვოლინი | შ | ზირკა 3:1 | 90 | | 2 | 0 | 14 |
| გელა შეყილაძე | არსენალი | შ | ბორისფენი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 11 | 0 | 7 |
| **თურქეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | ს | კარშიაკა 1:3 | 68 | შეცვალეს | 18 | 0 | 5 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | ამიკა | ს | ლეხი 0:0 | 90 | | 15 | 1 | 2 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | ცსკა | ს | სპარტაკი 0:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | 4 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ჩერნო მორე | ს | ლოკომოტივი 2:3 | 45 | შეცვლაზე ითამაშა, გააფრთხილეს | 9 | 1 | 7 |
| **მოლდოვა. ნაციონალური ლიგა** | | | | | | | | |
| ვაჟა თარხნიშვილი | შერიფი | შ | დაჩია 3:0 | 0 | | 13 | 3 | 1 |
| მურთაზ ბურნაძე | შერიფი | შ | დაჩია 3:0 | 10 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 1 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | აელ 1:1 | 90 | 1 გოლი | 19 | 8 | 5 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | შ | აელ 1:1 | 90 | | 7 | 2 | 5 |
| კლიმენტი წიტაიშვილი | ანართოსისი | შ | აელ 1:1 | 89 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 6 | 4 | 5 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | ს | აპოელი 1:2 | 90 | 1 გოლი, გააფრთხილეს | 16 | 14 | 7 |
| ლევან მაღრაძე | აელ | ს | ანართოსისი 1:1 | 90 | | 16 | 3 | 4 |
| გიორგი ქორიძე | ონისილოსი | შ | პაფოსი 1:3 | 31 | შეცვალეს | 18 | 9 | 13 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*



„ტვენტეს“ გოგა გახოკიძე დაემტვრა




ლევან ქებაძე

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები. დღეს

## პორტუ — ლიონი

პორტუ. „ესტადიუ დუ დრაგაუ". მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

# მარტინ ონილმა ლიონის ფორმა ჩაიცვა ოლა ჰოპლას გადახტომის შემდეგ ითხოვს



ჟოზე მაურინიუ

**„სელტიკის"** მწვრთნელი მარტინ ონილი „პორტუ" — „ლიონის" მატჩში ფრანგთა მხარეს იქნება. ირლანდიელს ჟოზე მაურინიუსგან შარშანდელი წყენა ახსოვს და ახლა პოლ ლე გუენის ქომაგია.

შარშან უეფას თასის ფინალის შემდეგ პორტუგალიელთა თავკაცმა კოლეგა გაკენწლა — თქვენი გუნდი ძალიან უხეშობდა, ფეხბურთის თამაში ეს თუ გგონიათ, შემცდარხართო — თქვა მაშინ გამარჯვებულმა.

ჟოზე მაურინიუს „სელტიკის" მწვრთნელის ხელმეორედ გაქილიკების შანსი ამ თვეშიც მიეცა. „სელტიკ" — „ბარსელონას" შეხვედრაში კატალონიელებს ორი ფეხბურთელი გაუძევეს. კაცმეტმა გლაზგოელებმა მატჩი მოიგეს და „პორტუს" დამრიგებელი კვლავ გადასწვდა შოტლანდიელებს (ვითომ „ბარსელონას" ქომაგია?) მხოლოდ ასე შეგიძლიათ მოგებაო.

მარტინ ონილმა თავის მხრივ „მანჩესტერ იუნაიტედთან" უხეშობა გაახსენა და პასუხად მიუგო, არც თქვენ ხართ ანგელოზებიო. „სელტიკის" ირლანდიელმა თავკაცმა გული მოიოხა, „ლიონი" რომ გაგაძევებთ, საუბარი მერე გავაგრძელოთო.

რით დაიკვეხნის „პორტუ" დღევანდელი მატჩის წინ? ისტორიას თუ ამოვქექავთ, აღმოვაჩენთ, რომ პორტუელები „ლიონს" 1964-65 წლების სეზონში შეხვედრიან. თასების მფლობელთა თასის პირველივე რაუნდში ფრანგები დამარცხდნენ. მათ ორივე თამაში წააგეს.

„პორტუ" ფრანგულ კლუბებს სულ 16-ჯერ გადაჰყრია, მათ შორის რვაჯერ შინ და რვიდან ექვსჯერ მოუგია. მასპინძლებს აქაც დადებითი ბალანსი აქვთ. გარდა ამისა, „პორტუმ" ჯგუფური ეტაპიდან მოყოლებული, ყველა მატჩში გოლი გაიტანა, რაც მათ შემტევთა ძალაზე მიუთითებს. ისიც უნდა ვთქვათ, რომ დღევანდელ მასპინძელს ფრანგულ გუნდთან 1972 წლის შემდეგ არ წაუგია და ბოლო 11 საშინაო ევრომატჩიდან ცხრაში იმარჯვა.

ჟოზე მაურინიუს შეგირდებს გასულ უქმეებზე არ უთამაშიათ, დაისვენეს. მწვრთნელი ლიონში იყო და „ლიონ" — „ნანტის" მატჩს დაესწრო. მან მეტოქის თამაში ნახა, შემდეგ კი თქვა — „ლიონმა" ძალიან კარგად იცის ის, რასაც აკეთებს, ამიტომ ჩვენ მაქსიმალურად უნდა მოვემზადოთ, რათა პირველივე შეხვედრაში საკმაო უპირატესობა შევიქმნათ"

„პორტუს" ბანაკში ექვსი ტრავმირებული ფეხბურთელია. მათ შორის ყველაზე გამორჩეულია ფორვარდი დერლეი სილვა, მაგრამ გუნდი უიმისოდაც რიგიანად თამაშობს და ჩემპიონატში დაუმარცხებელია.

ახლა „ლიონზეც" მოვყვეთ. „ლომებმა" გასულ უქმეებზე ცხრილში პირველ საფეხურზე აინაცვლეს. ეს ნიშნავს, რომ გუნდი თავის დღევანდელ მეტოქეზე არანაკლებ კარგ ფორმაშია. აღსანიშნავია ერთიც — „ლიონმა" შარშანაც ამ დროს „აკრიფა" და ბოლოს ქვეყნის ჩემპიონი გახდა. პოლ ლე გუენს ძირითადი შემადგენლობის ყველა ფეხბურთელი ჯანზე ჰყავს. ორი კვირით დასვენება მოუწია გრეგორი კუპეს, რომელსაც მაჯა სტკიოდა და მან „ნანტთან" თამაში უკვე შეძლო.

„ლიონს" პორტუგალიურ კლუბებთან უარყოფითი ბალანსი აქვს. მეზობლებს 11-ჯერ შეხვედრიან, აქედან 5-ჯერ სტუმრად და სამჯერ დამარცხდნენ. ამ ხუთ მატჩში ფრანგებმა მხოლოდ ორი გოლის გატანა მოახერხეს და ათი გაუშვეს.

„ლომთა" პრეზიდენტი ჟან მიშელ ოლა: „პორტუ", შესაძლოა, ჩვენზე ოდნავ ძლიერი იყოს, მაგრამ პროგნოზებისგან თავს შევიკავებ, სუსტი და ძლიერი მოედანზე გამოჩნდება. „ლიონის" მიზანი მეოთხედფინალში გასვლა იყო და რადგან აქ უკვე ვართ, ნახევარფინალზე რატომ არ უნდა ვიფიქროთ?"

„საფრანგეთში პორტუგალიურ საკლუბო ფეხბურთს ყურადღებას მაინცდამაინც არავინ აქცევს, მაგრამ აბა, გადახედეთ „პორტუს" შედეგებს და ნახავთ, როგორ გუნდს ვეთამაშებით. მათ სეზონში მხოლოდ ორი მატჩი წააგეს — სუპერთასზე და ლიგის ჯგუფში, თან ორჯერვე „რეალთან" — თქვა ჟუნიონიომ, სიდნეი გოვუმ კი „ლიონის" საგმირო საქმე გაიხსენა და აღნიშნა, ჩვენ მიუნხენში „ბაიერნი" დავამარცხეთ და „პორტუსი" რად უნდა გვეშინოდესო.

**გაჟა ხუციშვილი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პორტუ**

ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, პედრუ ემანუელი, რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე, ალენიჩევი, კოშტინია, მანიშე, დეკო სოუზა, მაკკარტი, იანკაუსკასი

**ლიონი**

კუპე, დეფლანდრე, ედმილსონი, მიულერი, რეველიერი, მ. დიარა, ჟუნინიო პერნამბუკანო, დორასო, ლუინდულა, ელბერი, გოვუ

**დისკვალიფიცირებულნი:**

პორტუ: არავინ

ლიონი: არავინ

## მილანი — დეპორტივო

მილანი. „სან სირო". მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

# ირურეტას მილანი სწამს და ტრადიცია უკვირს

**წილისყრამ** ინება, რომ ამ გუნდების გზები კვლავ გადაკვეთილიყო. „მილანი" და „დეპორტივო" ორი წლის წინ მეორე ჯგუფურ ეტაპზე შეხვდნენ ერთმანეთს. ლა კორუნიაში „მილანმა" მოიგო, ხოლო მილანში ფრეზე გაიყარნენ.

შარშან გუნდები თავიდანვე ერთ ჯგუფში აღმოჩნდნენ. „შავ-წითლებმა" მეტოქე გააცამტვერეს (4:0), ბოლო ტურში კი მასპინძელთათვის არაფრისმომტან შეხვედრაში „დეპორტივომ" 2:1 იძალა.

წლეულს მესამე პაემანია, ამჯერად მეოთხედფინალში. განსხვავება კიდევ ისაა, რომ „მილანი" შარშანდელზე უკეთ თამაშობს. კარლო ანჩელოტის შეგირდებს, 21 დეკემბერს „უდინეზესთან" რომ დამარცხდნენ, მას აქეთ აღარ წაუგიათ. „შავ-წითლებმა" „სპარტასთან" მატჩის შემდეგ გაილაღეს. გუნდი სამზე ნაკლებ გოლს არ სჯერდება და გზად ყველა მეტოქეს მუსრავს.



მილანელთა მეკარე დიდა წელის ტკივილს უჩივის

საწინააღმდეგო ამბებია „დეპორტივოს" ბანაკში. პრიმერადივიზიონში ზედიზედ სამი მარცხის კვალად მისავათებული „მურსიას" ძლევა დიდი ვერაფერი შვებაა ხავიერ ირურეტასთვის. „დეპორმა" მერვედფინალიდან ტურინის „იუვენტუსი" ჩამოიცილა, მაგრამ ეს ტურინელთა სისუსტის ბრალი უფროა, ვიდრე ლაკორუნიელთა ზემძლავრობისა.

გავიხსენოთ, რომ ჯგუფში „მილანი" ერთ გალისიურ გუნდს უკვე შეხვდა. ვიგოში „სელტასთან" მატჩი უგოლოდ დასრულდა, „სან სიროზე" კი მასპინძლები დამარცხდნენ.

„მილანი" ესპანურ კლუბებს 30-ჯერ შეხვედრია, მათ შორის 14-ჯერ შინ. „შავ-წითელთა" მონაგარი რვა მოგება, ორი ფრე და ოთხი წაგება. აღსანიშნავია, რომ „დეპორტივო" ორჯერ ეწვია „სან სიროს" და არ დამარცხებულა.

კარლო ანჩელოტის სადარდებელი მეკარეა. დიდას წელი სტკივა და მისი თამაში საეჭვოა, ანუ ბრაზილიელის ამბავი დღეს, მატჩის



„მილანი" — „დეპორტივო" წილისყრამ წლეულს მეოთხედფინალში ინება

დაწყებამდე გადაწყდება. თუ ვერ ითამაშებს, მის ადგილს აბიატი დაიკავებს. ტრავმირებულ ალესანდრო ნესტას ნაცვლად კოსტაკურტას ვიხილავთ, რომელსაც მალე 38 წელი შეუსრულდება.

„დეპორტივოს" აპენინურ კლუბებთან დადებითი ბალანსი აქვს. ლაკორუნიელები ექვსჯერ ესტუმრნენ იტალიას და მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ. მიუხედავად ამისა, დღევანდელი ვითარება სულ სხვაა. ესპანელი ჟურნალისტების თქმით, „დეპორი" დაღლილია და „მილანთან" ძალიან გაუჭირდება.

ხავიერ ირურეტა: „მგონი, არავის ეეჭვება, რომ „მილანი" ამჟამად ფორმის პიკზეა, მაგრამ ჩვენ „სან სიროზე" ურიგოდ არ ვთამაშობთ და ტრადიციის გაგრძელებას ვაპირებთ".

სტუმართა მწვრთნელი, სავარაუდოდ, იმ შემადგნელობას ათამაშებს, რომლითაც ტურინში „იუვენტუსს" სძლია.

**გაჟა ხუციშვილი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მილანი**

დიდა (ან აბიატი), კაფუ, კოსტაკურტა, მალდინი, პანკარო, გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, ინძაგი (ან ტომასონი)

**დეპორტივო**

მოლინა, სკალონი, ჟორჟე ანდრადე, ნაიბეტი, რომერო (ან კაპდევილა), მაურო სილვა, დუშერი, სერხიო, ვალერონი, პანდიანი, ლუკე

**დისკვალიფიცირებულნი:**

მილანი: არავინ

დეპორტივო: ვიქტორ სანჩესი (1 მატჩი)

# ფრეიმ ფრეზე გააფრინა



ალექსანდრ ფრეი

## საფრანგეთი

I დივიზიონი. XXIX ტური

**რენი 4:3 მარსელი**

0:1 ბატლე (30), 1:1 დროგბა (36ს.ჯ.), 2:1 ა. ფრეი (38), 2:2 დროგბა (45), 3:2 ა. ფრეი (61), 3:3 მიდო (73), 4:3 ა. ფრეი (76)

ტურის ბოლო მატჩში შვიდი გოლი გავიდა, სამით ნაკლები, ვიდრე დანარჩენ ცხრა შეხვედრაში. შაბათს გუნდებმა ძალიან იძუნწეს, კვირა სალამოს კი რენში გოლთაცვენა იყო.

„მარსელს“ ოთხის გაშვება დასჩემდა. ზღვისპირელებმა „ბასტიასგანაც“ ამდენივე მიიღეს. ყოზე ანიგომ დაცვას თუ არ მიხედა, ზეგ „ლივერპულიც“ გაამწარებს.

რენულ შეხვედრაში მასპინძელთა ლეგიონერებმა, შვედმა კალსტრიომმა და შვეიცარიელმა ფრეიმ გაილაღეს, მანამდე კი სტუმრები ლორენ ბატლეს გოლით დაწინაურდნენ.

დამხვდურებმა მალე უპასუხეს. ალექსანდრ ფრეის დარტყმული ბურთი დროგბას შეეხო და ისე შევარდა ბარტეზის კარში. აფეთქებული „რენი“ იქვე დაწინაურდა. შვეიცარიელმა სედრიკ ბარბოზამ პასით იხეირა, თუმც ტაიმის მიწურულს მიდო-დროგბას კომბინაცია გოლით დასრულდა.

გახალისებულმა ფრეიმ მეორე ნახევრის დაწყებიდან თხუთმეტ წუთში შორიდან ზუსტად გაისროლა მას შემდეგ, რაც კალსტრიომის პასი მიიღო.

„მარსელიც“ ჯიგრიანად უტევდა და დიდიე დროგბამ მიდოს ვალი დაუბრუნა — ეგვიპტელმა კვლავ გაათანაბრა. თანასწორობა სულ ორ წუთს გაგრძელდა, რადგან შვეიცარიელი იშტაზე მოსულიყო და კალსტრიომი მას მეოთხე გოლის გატანაში დაეხმარა.

სტუმრებს ქულის გადასარჩენად ცდა არ დაუკლიათ. შეცვლაზე შესულმა სტივ მარლემ ბურთი ჯვარედინსაც მოარტყა, მაგრამ „მარსელმა“ მეტი ვერ შეძლო.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 29 | 18 | 6 | 5 | 51:21 | 60 |
| მონაკო | 29 | 17 | 9 | 3 | 48:20 | 60 |
| პსჟ | 29 | 16 | 9 | 4 | 40:20 | 57 |
| სოშო | 29 | 14 | 8 | 7 | 42:32 | 50 |
| ოსერი | 29 | 14 | 5 | 10 | 43:23 | 47 |
| მარსელი | 29 | 14 | 4 | 11 | 41:34 | 46 |
| ნიცა | 29 | 10 | 14 | 5 | 33:26 | 44 |
| ნანტი | 29 | 12 | 7 | 10 | 34:26 | 43 |
| ლანსი | 29 | 12 | 6 | 11 | 26:39 | 42 |
| ლილი | 29 | 11 | 8 | 10 | 33:29 | 41 |
| ბორდო | 29 | 11 | 8 | 10 | 28:29 | 41 |
| რენი | 29 | 9 | 9 | 11 | 38:37 | 36 |
| ბასტია | 29 | 8 | 10 | 11 | 30:36 | 34 |
| სტრასბური | 29 | 8 | 8 | 13 | 39:44 | 32 |
| ტულუზი | 29 | 7 | 8 | 14 | 21:34 | 29 |
| მეცი | 28 | 7 | 7 | 14 | 20:31 | 28 |
| გენგამი | 28 | 8 | 4 | 16 | 26:44 | 28 |
| აიაჩო | 29 | 7 | 6 | 16 | 23:45 | 27 |
| მონპელიე | 29 | 7 | 4 | 18 | 33:56 | 25 |
| ლე მანი | 29 | 4 | 10 | 15 | 20:43 | 22 |

## დანია

სუპერლიგა. XXI ტური

ოდენსე — ბრონდბიუ 1:0; ოლბორგი — ვიბორგი 2:0; ესბიერგი — ორჰუსი 3:3; ნორდსიელანდი — აკადემისკი 1:0; ჰერფიოლგე — ფრემი 0:1; კოპენჰაგენი — მიდტიულანდი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 21 | 14 | 4 | 3 | 36:20 | 46 |
| ესბიერგი | 21 | 13 | 5 | 3 | 45:23 | 44 |
| კოპენჰაგენი | 21 | 12 | 6 | 3 | 34:18 | 42 |
| ოდენსე | 21 | 12 | 5 | 4 | 45:28 | 41 |
| ოლბორგი | 21 | 10 | 6 | 5 | 31:24 | 36 |
| ორჰუსი | 21 | 8 | 3 | 10 | 34:44 | 27 |
| მიდტიულანდი | 21 | 6 | 5 | 10 | 34:36 | 23 |
| ჰერფიოლგე | 21 | 6 | 5 | 10 | 23:28 | 23 |
| ვიბორგი | 21 | 5 | 7 | 9 | 30:31 | 22 |
| ნორდსიელანდი | 21 | 5 | 7 | 9 | 25:35 | 22 |
| ფრემი | 21 | 4 | 3 | 14 | 21:40 | 15 |
| აკადემისკი | 21 | 2 | 2 | 17 | 16:47 | 8 |

I დივიზიონი. XVI ტური

ფც ორჰუსი — რანდერსი 3:1; ფრემადი — ბრონშოი 1:2; კოგე — სკოვლუნდი 1:2; ჰორსენსი — ვაილე 2:0; სონდერიულანდი — ბ-1913 ოდენსე 3:0. ბ-93 კოპენჰაგენი — ნესტ[illegible] ფრედერისია — სილკებორგი და [illegible] — ნორდიულანდი გადაიდო

## საბერძნეთი

ეროვნული ლიგა
XXIV ტური

აკრატიტოსი — კალითეა 0:0; პანილიაკოსი — ქსანთი 1:0; პროდეფტიკი — ოფი 2:0; ირაკლისი — არისი 6:0; პანიონიოსი — ეგალეო 2:0; პაოკ — აეკ 3:2; იონიკოსი — ოლიმპიაკოსი 1:2; პანათინაიკოსი — ხალკიდონა 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 24 | 19 | 4 | 1 | 48:13 | 61 |
| ოლიმპიაკოსი | 24 | 19 | 2 | 3 | 56:16 | 59 |
| პაოკ | 24 | 16 | 5 | 3 | 41:19 | 53 |
| ეგალეო | 24 | 12 | 6 | 6 | 31:20 | 42 |
| აეკ | 24 | 12 | 5 | 7 | 44:25 | 41 |
| ხალკიდონა | 24 | 12 | 5 | 7 | 34:29 | 41 |
| პანიონიოსი | 24 | 9 | 9 | 6 | 31:22 | 36 |
| ირაკლისი | 24 | 10 | 5 | 9 | 34:32 | 35 |
| ქსანთი | 24 | 7 | 6 | 11 | 24:33 | 27 |
| ოფი | 24 | 7 | 5 | 12 | 24:38 | 26 |
| იონიკოსი | 24 | 6 | 5 | 13 | 26:34 | 23 |
| არისი | 24 | 5 | 5 | 14 | 18:38 | 20 |
| პანილიაკოსი | 24 | 4 | 6 | 14 | 26:47 | 18 |
| პროდეფტიკი | 24 | 3 | 8 | 13 | 17:40 | 17 |
| კალითეა | 24 | 2 | 10 | 12 | 24:36 | 16 |
| აკრატიტოსი | 24 | 3 | 6 | 15 | 23:59 | 15 |

## პორტუგალია

სუპერლიგა. XXVII ტური

**ბეირა მარი 0:1 ბენფიკა**

0:1 ნუნუ გომეში (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 26 | 21 | 5 | 0 | 57:15 | 68 |
| სპორტინგი | 27 | 19 | 4 | 4 | 49:27 | 61 |
| ბენფიკა | 27 | 17 | 6 | 4 | 50:25 | 57 |
| ბრაგა | 27 | 12 | 8 | 7 | 27:28 | 44 |
| ნასიონალი | 26 | 13 | 4 | 9 | 44:28 | 43 |
| რიუ ავე | 27 | 10 | 10 | 7 | 36:24 | 40 |
| მარიტიმუ | 27 | 9 | 12 | 6 | 28:25 | 39 |
| ბოავიშტა | 27 | 9 | 11 | 7 | 25:22 | 38 |
| ბეირა მარი | 27 | 10 | 6 | 11 | 35:36 | 36 |
| მორეირენსე | 26 | 8 | 9 | 9 | 23:27 | 33 |
| ლეირია | 27 | 8 | 8 | 11 | 35:41 | 32 |
| ჟილ ვისენტე | 27 | 7 | 10 | 10 | 36:33 | 31 |
| ალვერკა | 27 | 8 | 5 | 14 | 29:37 | 29 |
| აკადემიკა | 27 | 7 | 4 | 16 | 24:34 | 25 |
| ბელენენსეში | 26 | 5 | 9 | 12 | 28:48 | 24 |
| ფერეირა | 27 | 7 | 3 | 17 | 20:41 | 24 |
| გიმარაეში | 27 | 4 | 10 | 13 | 24:37 | 22 |
| ამადორა | 27 | 3 | 4 | 20 | 18:60 | 13 |

## თურქეთი

სუპერლიგა. XXVI ტური

დიარბაქირი — ბეშიქთაში 3:1; გაზიანთეფი — სამსუნი 1:0; კონია — ადანა 4:1; გალათასარაი — რიზე 1:2; ელაზიგსფორი — ანკარაგიუჯიუ 1:2; გენჩლერი — სებათი 3:1; ისთანბული — მალათია 0:0; ტრაბზონი — დენიზლი 1:0; ფენერბაჰჩე — ბურსა 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 26 | 18 | 6 | 2 | 63:30 | 60 |
| ბეშიქთაში | 26 | 16 | 6 | 4 | 55:32 | 54 |
| ტრაბზონი | 26 | 15 | 5 | 6 | 39:29 | 50 |
| დენიზლი | 26 | 14 | 3 | 9 | 40:28 | 45 |
| გაზიანთეფი | 26 | 14 | 3 | 9 | 40:37 | 45 |
| გალათასარაი | 26 | 11 | 8 | 7 | 40:34 | 41 |
| დიარბაქირი | 26 | 11 | 7 | 8 | 40:34 | 40 |
| სამსუნი | 26 | 10 | 6 | 10 | 37:38 | 36 |
| გენჩლერი | 25 | 10 | 4 | 11 | 43:35 | 34 |
| მალათია | 26 | 8 | 10 | 8 | 33:27 | 34 |
| ანკარაგიუჯიუ | 26 | 9 | 6 | 11 | 36:41 | 33 |
| რიზე | 26 | 10 | 3 | 13 | 29:41 | 33 |
| კონია | 26 | 7 | 11 | 8 | 41:43 | 32 |
| ისთანბული | 26 | 7 | 6 | 13 | 33:37 | 27 |
| სებათი | 26 | 6 | 8 | 12 | 31:42 | 26 |
| ბურსა | 26 | 4 | 9 | 13 | 22:35 | 21 |
| ელაზიგი | 26 | 5 | 6 | 15 | 34:60 | 21 |
| ადანა | 25 | 3 | 3 | 19 | 24:57 | 12 |

# ლუიშ ფაბიანუ, ფაბაო და ფაბიუ სანტოსი

**ბრაზილიაში** გრძელდება სამი ბობოლა შტატის ჩემპიონატები. ლიგა კარიოკაში, სხვანაირად კი რიოს პირველობაში, მეორე ეტაპის ოთხი გამარჯვებული, „ვასკუ და გამა“, „ამერიკანა“, „ფლუმინენსე“ და „ფრიბურგენსე“ ერთმანეთში პლეი ოფს გაითამაშებენ და დარჩენილი ერთი პირველი ეტაპის მომგებ „ფლამენგოს“ შეხვდება შტატის დიდ ფინალში.

ლიგა მინეიროში (მინას ჟერაისის ჩემპიონატი) ერთი ტურიღა უკლია 24-გუნდა წრიული ტურნირის გასრულებას, რომლის 4 საუკეთესოც ერთმანეთს ნახევარფინალში დაეჯახება. ოთხიდან სამი უკვე ცნობილია, „ატლეტიკო მინეირო“, „ამერიკა“ (ბელუ-ორიზონტე) და „კრუზეირო“, მეოთხე კი ალბათ იქნება „გუარანი“).

რვაგუნდიანი პლეი ოფი უკვე ჩატარდა ლიგა პაულისტაში და პირველივე ხმაურიანი ამბავიც გამოდნა. რეგულარული ტურნირის უპირობო ლიდერი „სან პაულუ“, რომელმაც ადრევე დაიბევა ადგილი მეოთხედფინალში, „სან კაეტანოსთან“ დამარცხდა.

„სან პაულუს“ თავდამსხმელი ლუიშ ფაბიანუ, ვინც ახლა დიდად სახელიან მეგოლედ ითვლება ბრაზილიაში და ვინც შარშან ოთხჯერ გააძევეს მინდვრიდან, კვლავ წითელი ბარათით გავიდა მოედნიდან.

მასპინძლად მყოფმა „სან პაულუმ“ თითო ტაიმში თითო უპასუხო გოლი გაუშვა, ლუიშ ფაბიანუმ კი კინალამ ფეხი მოტეხა მეტოქის მცველ სერჟინიოს, მოედნიდან კი მაყურებელთა გინებით გავიდა. 21 ათასმა გულშემატკივარმა ერთხმად უსტვინა წაგებულებს, მათმა მეკარემ, როჟერიუ სენიმ კი თქვა: „ახლა ლიბერტადორესის თასის მოგება თულა გადაგვარჩენს“.

ამ თამაშისას კიდევ ორი ფეხბურთელი გააძევეს: „სან პაულუს“ მცველი ფაბაო ორი ყვითლით და „სან კაეტანოს“ ფაბიუ სანტოსი იდაყვის ქნევისთვის.

ერთმანეთის ლანძღვა თამაშის შემდეგ, ტელეეკრანზეც გაგრძელდა: სერჟინიომ და ლუიშ ფაბიანუმ კამერის წინაც წაიწიეს ერთმანეთზე.

„სან კაეტანო“ კი შეუერთდა ნახევარფინალის სხვა მონაწილეებს: „პალმეირასს“, „სანტოსს“ და პატარა „პაულისტას“.

**ლუჟაუ დუ მოზგაუ**



ლუიშ ფაბიანუმ სანკაეტანოელი მცველები ბოლომდე ვერ აწვალა — მოედნიდან გააძევეს

უდიდესი რუსული ტოტალიზატორი «ფონი»

გიწვევთ სათანამშრომლოდ



გახსენით ტოტალიზატორი თქვენს ქალაქში

ცნობებისთვის დარეკეთ
+7 095 9045011; +7 095 9045018

ფსონები და კაზინო ინტერნეტში: www.fonbet.info

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არარსებული ბავშვის სიკვდილი

## ლაციო-რომა გალიანიმ ჩაშალა

*როგორც ირკვევა, „სტადიო ოლიმპიკოზე“ გავრცელებული ხმა, თითქოს სადღაც, სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიციის მანქანამ პატარა ბიჭი გაიტანა, ტყუილი იყო. მეორე მხრივ, ტყუილი უძახე და იმხელა დერბი, „რომა“—„ლაციო“ ხომ ჩაიშალა, პლუს ქალაქში დიდი არეულობა გამოიწვია — ორივე გუნდის ტიფოზებმა ერთსულოვნად, ბოთლებითა და მაშხალებით შეუტიეს კარაბინერებს, რომლებმაც, თავის მხრივ, ცრემლსადენი გაზიც გამოიყენეს და არც ხელჩართულ ბრძოლას მოერიდნენ. ქუჩებში გამოჩნდა ბარიკადები*





არეულობა ცენტრალური ევროპის დროით შუაღამისას (შესაბამისად, საქართველოს დროით ღამის სამ საათზე) ჩაწყნარდა. პოლიციის პრეს-ცენტრის განცხადებით, რამდენიმე სამართალდამცავი მსუბუქად დაშავდა. ასევე მსუბუქად დაშავდნენ ქომაგებიც.

შეგახსენებთ, რომ შეხვედრის მეორე ტაიმი ოთხი წუთის დაწყებული იყო (ანგარიში 0:0 გახლდათ), როდესაც მოედანზე „რომას“ კარის უკნიდან გამოჩნდა ტიფოზი, რომელმაც ფეხბურთელებს ბიჭის მკვლელობის ამბავი ჩაუტანა და თამაშის შეწყვეტა მოსთხოვა. შემდეგ ორივე გუნდის მოთამაშეები მსაჯ რობერტო როზეტისთან ერთად ცენტრში შეიკრიბნენ, რათა რაიმე გადაეწყვიტათ, ხოლო ქომაგებმა კარაბინერებს მაშხალები დაუშინეს. ეს უპირატესად სამხრეთ, ანუ „რომას“ გულშემატკივართა ტრიბუნასთან მოხდა.

აღსანიშნავია, რომ პოლიციელებს დიდი ხანი არ დასჭირვებიათ მიზეზის მისახვედრად და სტადიონის დინამიკებში იმის გამოსაცხადებლად, რომ არანაირი მანქანით მოკლული ბიჭი არ არსებობს, მაგრამ იმ 15 წუთიანმა ჭოჭმანმა, რომლის განმავლობაშიც სამხრეთ ტრიბუნაზე ცრემლსადენი გაზი და რაღაც კვამლიც გამოჩნდა, საქმე საბოლოოდ თამაშის ჩაშლამდე მიიყვანა. როგორც იტალიურ სააგენტო ANSA-ს თავად ამ ქვეყნის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ განუცხადა, ეს სწორედ მან უბრძანა მსაჯს თამაში შეეწყვიტა.

„გადაწყვეტილება მე მივიღე, ვინაიდან აბსოლუტურად ვიყავი დარწმუნებული, რომ თამაშის გაგრძელება შეუძლებელი იყო — თქვა გალიანიმ — მოედანზე მყოფ ბევრ ადამიანს ველაპარაკე ტელეფონით და შესაძლო ცუდი გაგრძელებიდან ყველაზე ნაკლებად ცუდი ავირჩიე“.

გალიანიმ განმარტა, რომ ის უპირველეს ყოვლისა, ხალხის მოედანზე შეცვენას მოერიდა და ფეხბურთელებს ტელეფონით უთხრა ამის





თაობაზე — თავად მილანში მჯდარა ტელევიზორთან. ცხადია, მატჩი გადათამაშდება.

რომის პრეფექტი ნიკოლა კავალიერე საზოგადოებას მომხდარის გამოძიებას დაპირდა:

„ჩვენ ვიკვლევთ, როგორ განვითარდა ეს ყველაფერი. ვინ და რატომ გაავრცელა ჭორი, რომელმაც სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა“.

„ლაციოს“ მცველმა მასიმო ოდომ კი განაცხადა, რომ ის და მისი თანაგუნდელები სიტუაციამ შეაცბუნა: „არ ვიცით, რა მოხდა მანამდე, სანამ ფრანჩესკო ტოტი მოვიდოდა და გვეტყოდა, რომ ბავშვი მოკლეს და ამიტომ აღარ ვთამაშობთ“.

ქომაგები კი უკვე სკამებს წვავდნენ.

**პაპუნა ძედია**

# საიუბილეო საჯარიმო

## რონალდინიომ ოცნება გაბედა

*კვირას 21 მარტს, ბრაზილიელმა რონალდინიომ თავისი 24-ე დაბადების დღე „კამპ ნოუზე“ ბასკური „სოსიედადის“ კარში გატანილი გოლით აღნიშნა. ეს მატჩის 89-ე წუთზე მოხდა, იქამდე კი ანგარიში 0:0 იყო. ბრაზილიელის გოლით „ბარსამ“ პრიმერაში ზედიზედ მე-9 გამარჯვება იზეიმა. იუბილარ რონალდინიოს ესპანური „ლიბრედირექტო“ საინტერვიუოდ ესტუმრა*



— დაბადების დღეზე ბურთის შეგდებაც მოახერხეთ და „ბარსასთვის“ გამარჯვების მოტანაც...

— ჩემს ცხოვრებაში ყველაზე საუკეთესო დაბადების დღეა, რისთვისაც ღმერთს მადლობას ვწირავ.

— საჯარიმოს შესახებ მოგვითხრეთ...

— იმედი მქონდა, რომ გავიტანდი. წინა დღეს ძალიან დიდხანს ვივარჯიშე საჯარიმოების დარტყმაში და, საბედნიეროდ, ჩემს შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია.

— გოლი ვის მიუძღვენით?

— მეგობრებს, თანაგუნდელებს, დედაჩემს და ყველა ჩემს გულშემატკივარს — ხალხი საგანგებოდ ამ მატჩზე დასასწრებად ბრაზილიიდან იყო ჩამოსული. ყველას, ვისაც კი „ბარსა“ უყვარს, შეუძლია, ეს გოლი თავის საჩუქრად მიიღოს.

— „სოსიედადთან“ თამაში ხომ არ გაგიჭირდათ?

— დაძაბული მატჩი იყო, მაგრამ საბოლოოდ უფრო ძლიერმა მოიგო. ეს სამი ქულა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ვამაყობ, რომ ბასკების დამარცხებაში მთავარი როლი შევასრულე.

— „რეალმა“ კი „ბილბაოსთან“ დათმო მნიშვნელოვანი შეხვედრა. საამსეზონო პრიმერა ალბათ მოულოდნელი შედეგით დასრულდება...

— არ ვიცი, ადრე „ბარსას“ მიზანი საჩემპიონთალიგო ოთხეულში მოხვედრა იყო, ახლა კი პირველობაზეც ოცნება შეიძლება. თუმცა ამისთვის დარჩენილი მატჩების მოგებაა საჭირო.

— „ბარსელონაში“ კარიერის ბედნიერი დღეებით ტკბებით...

— გეთანხმებით, ეს სიმართლეა. ამჟამად არც კარიერაში და არც სხვამხრივ არაფრის ნაკლებობას არ განვიცდი, ამიტომაც ვთვლი, რომ ცხოვრებაში ყველაზე საუკეთესო წლები მაქვს. ვცდილობ, „ბარსელონასთვის“ რაც შეიძლება, ყველაფერი გავაკეთო და მგონი, ეს არცთუ ისე ურიგოდ გამომდის.

— ვარაუდობდით, რომ პირველ ესპანურ სეზონში ამდენ გოლს გაიტანდით?

— ჩემი საქმე თანაგუნდელთა პასებით მომარაგება უფროა, ვიდრე მეტოქის კარის აღება, მაგრამ რადგან ბედს რონალდინიოს მეგოლეობა სურს, რა გაეწყობა, უარს ნამდვილად ვერ ვიტყვი...

— კატალონიური ინჩადა ძალიანააა თქვენზე შეყვარებული...



— „ბარსასა“ და ჩემს ქომაგებს უდიდეს პატივს ვცემ. არასოდეს დამავიწყდება, იმ დიდ საკვირაო ზეიმს ხალხი ჩემთან ერთად რა გულწრფელი სიხარულით აღნიშნავდა.

# ჯეკის სიმართლე

## ლამანგელი ბოზების ხუთი ტყუილი

*დავუბრუნდეთ საფეხბურთო გაუპატიურების საქმეს, რომლის შესახებაც ერთი ხანია სად, სად და თვით „სანშიც“ კი არაფერი დაუწერიათ. და აი, როგორც იქნა, ხსენებული „სანის“ საკვირაო დამატება NEWS OF WORLD-ში ვკითხულობთ, რომ სიმართლე ირკვევა. მაშ, გაუმარჯოს სიმართლეს! ოღონდ, მანამდე, ორი სიტყვით გავიხსენოთ რაზეა ლაპარაკი*



ეს შავი ქალები ამ თეთრმა ქალებმა ტყუილებში ამხილეს

ლაპარაკია იმაზე, რომ ინგლისური გუნდი „ლესტერ სიტი“ ერთი კვირით სავარჯიშოდ ესპანეთში იმყოფებოდა, სადაც სასტუმროში მოხდა ისეთი ინციდენტი, გუნდს ვარჯიში რომ შეაწყვეტინა და ინგლისში დააბრუნა. გერმანიაში მცხოვრებმა სამმა აფრიკელმა ქალმა ადგილობრივ პოლიციაში იჩივლა, რომ „ლესტერის“ ფეხბურთელებმა ისინი გააუპატიურეს. თავიდან ესპანეთის პოლიციამ ცხრა ლესტერელი დააკავა, მაგრამ შემდეგ, ექვსი სამზე დაიყვანა — პოლ დიკოვი, ფრენკ სინკლერი და კეიტ გილესპი მთელი კვირის განმავლობაში მურსიაში, ციხეში ისხდნენ, ხოლო სინკლერს, რომელიც ესპანელ მოსამართლეს იმავე ქალთან ზედაპირულ, ოღონდ შეთანხმებულ ურთიერთობაში გამოუტყდა, ცოლი გაეყარა და ასე შემდეგ. მაგრამ აი, გამოჩნდა მავანი, აქამდე უცნობი მოწმე, რომლის ჩვენებების საფუძველზე ინგლისურმა გაზეთმა მომჩივანი ქალები ხუთ ტყუილში ამხილა.

უფრო სწორად, ლაპარაკია ორ მოწმეზე, დედა-შვილ ჯეკი კუმბსოსა და ნატაშაზე, რომლებიც არდადეგებს ლა მანგაში ატარებდნენ და სასტუმროში, თურმე მოვლენათა ცენტრის გვერდითა ნომერს ქირაობდნენ, ცნობისთვის: მოწმეებმა, უმთავრესად კი დედამ ჯეკი კუმბსომ (ისინი ინგლისში კენტში, კერძოდ კისტონში ცხოვრობენ) ჩვენება სკოტლანდ იარდს მისცა, ხოლო ესპანეთის პოლიციაში სკოტლანდ იარდიდან ჩვენება ფაქსით გააგზავნეს. მაშ ასე, ტყუილები:

### პირველი ტყუილი

რუთ ლოურენსომ — სწორედ იმ ქალმა, რომელიც თითქოს დიკოვმა გალახა, ხოლო მანამდე სინკლერთან ერთობოდა — განაცხადა, რომ იგი 301-ე ოთახში გააუპატიურეს. ახალი მოწმე ამბობს, რომ 301-ე ოთახში არაფერი ხდებოდა, რადგან თავად 303-ში იყო, სადაც საწოლი სწორედ 301-ის გამყოფ კედელთან არის თავით მიდგმული — და კედელსგადაღმიდან ჩამიჩუმი არ მოუსმენია.

### მეორე ტყუილი

რუთ ლოურსენსოსთან ერთად იყვნენ მარტა ვილბერტი და ბეატრის განჟირო, რომლებიც საჩივარში წერენ, რომ ისინი 301-ე ნომერში სცემეს.

ახალი მოწმე იმეორებს, რომ 301-ე ნომერში არაფერი არ ხდებოდა, ხოლო მეორე, მეზობელი ოთახიდან, რომლის ნომერიც, ლოგიკურად, გახლავთ 305, მან მართლაც გაიგონა ქალების და კაცების შეძახილები, თან ასეთი: კაცები ქალებს ამშვიდებდნენ. აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ფეხბურთელებმა თავიანთ ჩვენებებში ჩაწერეს, რომ ქალები ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ, ხოლო ისინი აწყნარებდნენ, ანუ მოწმის მონაყოლი ფეხბურთელებისას ამართლებს.

### მესამე ტყუილი

მომჩივანი ქალები აცხადებენ, რომ პატივცემული ადამიანები ბრძანდებიან და ესპანეთში გოლფის სათამაშოთ ჩავიდნენ.

ახალი მოწმე ამბობს, რომ ის ხედავდა, როგორ ტორლიალობდნენ ქალები სასტუმროს გარშემო მეძავების კლასიკურ ტანსაცმელში გამოწყობილნი, შესაბამისი მაკიაჟით.

### მეოთხე ტყუილი

ახალი მოწმე ბრძანებს, რომ 301-ე ოთახში ქალები და კაცები ცალ-ცალკეც კი არ შეუნიშნავს. მან ნახა მოყვირალი კაცები, ოღონდ 305-ე და 306-ე ოთახების წინ.

### მეხუთე ტყუილი

მართალია, ვილბერტის საჩივარში თუ ჩვენებაში წერია, რომ ის პოლიციას უხმობდა, ახალი მოწმე კი ბრძანებს, რომ მსგავსი არაფერი ყოფილა.

ბოლოს დავძინოთ, რომ ქალბატონი ახალი მოწმე, 46 წლის ჯეკი კუმსრო, ექვსი შვილის დედაა. ის მისი 22 წლის ქალიშვილი ნატაშა და ნატაშას 27 წლის ბოიფრენდი ენტონი (წყვილი 304 ნომერში ყოფილა) ესპანეთში ქალბატონი ჯეკი კუმბსოს დაბადების დღის საზეიმოდ ჩასულან. ქალბატონი ჯეკი კუმბსო, იმ ღამით, ოთხის ნახევარზე ხმაურს გაუღვიძებია. დედას ნატაშამაც დაუკრა კვერი:

„ისინი კამათობდნენ. მეგონა დამშვიდებოდნენ, მაგრამ ეს ერთი დიდი ამბავი გამოდგა“.

ქალბატონი ჯეკი კუმბსო ამბობს, რომ ხმაური სამ საათს გაგრძელდა და დღეობა ჩაუშხამა — ისინი ბრიტანეთში სასურველზე ადრე დაბრუნებულან.

ხოლო ჩვენ „სარბიელში“, დავიბენით ანუ ვერაფერი ველარ გავიგეთ და აი, რატომ: პირველ წერილში, რომელიც გაუპატიურების საქმეს მივუძღვენით, სწორედ რომ „სანზე“ დაყრდნობით მოგყავდა გაუპატიურებას შემთხვევით შესწრებული ინგლისური ოჯახის მონაყოლი. მაშინ „სანი“ გვეუბნებოდა, რომ მავან 46 წლის ინგლისელ ქალბატონს, მის 23 წლის ქალიშვილს და ქალიშვილის 27 წლის ბოიფრენდს იქვე, გვერდითა ოთახი ჰქონდათ ნაქირავები და ისინი ღამის ოთხის ნახევარზე ავეჯის მტვრევისა და ყვირილის ხმამ გააღვიძა.

„გავარჩიე სამი განწირული ქალის ხმაც. ერთი ამბობდა: გთხოვთ, გაჩერდით, დამანებეთ თავი, მაგრამ შემდეგ გაჩუმდა და ტირილი მოისმა. ისმოდა სექსისთვის დამახასიათებელი ხმები. ფეხბურთელები ძალიან აგრესიულნი იყვნენ, ჩვენ შეგვეშინდა. ისინი ქალებს გაჩუმებას უბრძანებდნენ, ერთმა კი „ბებიტუ“ უწოდა და ვიღაცას საწოლში დაბრუნება უბრძანა. რამდენიმე წამის შემდეგ იმავე ხმამ იღრიალა, ინგლისელები გამარჯვებას ასე ვამბობთო“ — ამბობდა 46 წლის დედა მაშინ. ან...

ან ეს 46 წლის დედა სხვაა, ხოლო 46 წლის ჯეკი კუმბსო სხვა და მათ თავიანთ შვილთან და შვილების ბოიფრენდებთან ერთად ერთ სართულზე დაახლოებით ერთი და იგივე ნომერი აუღიათ.

თუმცა, იმედი ვიქონიოთ, რომ ყველაფერი გაირკვევა და ჩვენც შევიტყობთ ესპანური სასტუმროს საიდუმლოს, ხოლო თუ არ გაირკვევა, ნურც მაგაზე ვინერვიულებთ. ერთი კი გვგონია: ეს ქალები არ უნდა იყვნენ მაინცდამაინც რესპექტაბელური ქალბატონები. ალბათ, წაიბოზებენ.

**პაპუნა ძიძია**




*კრისტიან ვიერიმ, კარგი იქნება, თუ მომავალი სეზონიდან „კამპ ნოუზე“ ვითამაშებო. „კამპ ნოუ“ კი, მოგეხსენებათ, კატალონიური „ბარსელონას“ ნავსაყუდელია*



# ვერცე ბარსელონა გაამხილა

## იუვენტუსმა კატალონიელებს ტრეზეგე 27 მილიონად დაუთმო

ტურინელები და კატალონიელები უკვე შეთანხმებულან ტრეზეგეს სატრანსფერო თანხაზე, „იუვე“ ყაბულსაა, ფრანგი 27 მილიონ ევროდ მიჰყიდოს „ბარსას“.

ისევ სანდრო როსელის მოვუსმინოთ: „ბარსას“ გასაძლიერებლად თავიდანვე ოთხ ფეხბურთელს დავადგით თვალი. ჯერ ტიერი ანრის გადმობირება გვსურდა, მაგრამ „არსენალმა“ მის დათმობაზე მტკიცე უარი გვითხრა, ასევე მოიქცა „მილანიც“ ანდრეი შევჩენკოსთან დაკავშირებით, ბოლოს „იუვენტუსს“ გავურიგდით დავიდ ტრეზეგეს გადმოსაყვანად და საქმე თითქმის მოგვარებულია. აი, თუ კრისტიან ვიერიც ჩვენთან გადმოვა, ახალი სეზონიდან „ბარსას“ წინა ხაზი ფანტასტიკური იქნება, რონალდინიო-ვიერი-ტრეზეგეს ტრიო ნებისმიერი მეტოქისთვის საშიში იქნება“.

ერთი სიტყვით, სრულიად კატალონია ხმაურიანი ტრანსფერების მოლოდინშია. ჩვენ კი შეგახსენებთ, ბობო ვიერის ესპანეთში ადრეც უთამაშია, ერთი სეზონი მადრიდის „ატლეტიკოს“ ფეხბურთელი გახლდათ და იმ წელსვე პრიმერას მთავარმეგოლეც გახდა 24 გატანილი ბურთით.

**მოკლედ**, გადაწყვეტილი ჯერ არაფერია, ჩვენ მხოლოდ ერთ-ერთი იტალიური სააგენტოს გუშინ გავრცელებულ ინფორმაციას გამცნობთ.

იქვე ამოვიკითხეთ „ბარსას“ ვიცე-პრეზიდენტ სანდრო როსელის სიტყვებიც — დარწმუნებულიც ვარ, კრისტიან ვიერი ჩვენთან ბედნიერი იქნებაო.

მოკლედ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „ბარსელონა“ იტალიიდან კიდევ ერთი ფეხბურთელის გადაბირებას ეშურება. უკვე დაგულებული „იუვენტუსის“ ფრანგი ფორვარდი დავიდ ტრეზეგეა —

**გიორგი ვაშაძიძე**

### არგენტინა

კლაუსურა. VI ტური

სან ლორენსო — ნუევა ჩიკაგო 2:2; არსენალი — ინდეპენდიენტე 0:0; როსარიო — ტალიერესი 0:2; ველესი — ლანუსი 2:1; ოლიმპო — ოლდ ბოიზი 1:1; ბანფილდი — ჩაკარიტა 0:0; ბოკა ხუნიორსი — რასინგი 4:1; ხიმნასია — ატლეტიკო 3:4; კოლონი — ესტუდიანტესი 1:0; კილმესი — რივერ პლეიტი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტალიერესი | 6 | 5 | 1 | 0 | 15:4 | 16 |
| ბოკა ხუნიორსი | 5 | 3 | 2 | 0 | 11:6 | 11 |
| ველესი | 6 | 3 | 2 | 1 | 14:10 | 11 |
| რივერ პლეიტი | 6 | 3 | 1 | 2 | 15:10 | 10 |
| ნუევა ჩიკაგო | 6 | 2 | 4 | 0 | 10:8 | 10 |
| რასინგი | 6 | 3 | 1 | 2 | 11:10 | 10 |
| კოლონი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:9 | 10 |
| სან ლორენსო | 6 | 2 | 3 | 1 | 8:6 | 9 |
| ინდეპენდიენტე | 6 | 2 | 2 | 2 | 9:8 | 8 |
| ბანფილდი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 8 |
| ლანუსი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:9 | 7 |
| ესტუდიანტესი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:9 | 7 |
| არსენალი | 6 | 1 | 3 | 2 | 8:9 | 6 |
| კილმესი | 6 | 1 | 3 | 2 | 7:9 | 6 |
| ხიმნასია | 6 | 1 | 2 | 3 | 9:7 | 5 |
| ოლდ ბოიზი | 6 | 0 | 5 | 1 | 9:10 | 5 |
| ატლეტიკო | 6 | 1 | 2 | 3 | 7:10 | 5 |
| ოლიმპო | 6 | 1 | 2 | 3 | 7:13 | 5 |
| როსარიო | 6 | 1 | 1 | 4 | 5:12 | 4 |
| ჩაკარიტა | 5 | 0 | 3 | 2 | 4:11 | 3 |

### სლოვენია

სი მობილ ლიგა
XX ტური

ნოვა გორიცა — კოპერი 0:0; პტუი — პრიმორიე 0:1; მურა — ლიუბლიანა 0:1; დრავოგრადი — მარიბორი 2:1; ოლიმპია — შმარტნო 3:0; პუბლიკუმი — დომზალე 1:1

### უნგრეთი

ბორსოდი ლიგა
XVIII ტური

დებრეცენი — ბეკეშჩაბა 1:0; მტკ — ვიდეოტონი 2:2; პეჩი — ფერენცვაროში 0:1; შოპრონი — ჰალადაში 5:0; ზალაეგერსეგი — დიორ ეტო 2:0; უიპეშტი — ბალატონი 0:1

### მექსიკა

კლაუსურა. XI ტური

ხაგუარესი — ამერიკა 2:1; მორელია — ტეკოსი 3:2; გვადალახარა — პუებლა 0:0; ტიგრესი — კრუზ ასული 1:1; ნეკაქსა — ირაპუატო 0:1; პაჩუკა — მონტერეი 1:1; ტოლუკა — უნამი 2:2; ატლანტე — ატლასი 3:4; კერეტარო — ვერაკრუსი 0:0; სანტოს ლაგუნა — სან ლუისი 2:0

### სერბეთი

პრვა ლიგა. XXI ტური

ნაპრედაკი — ბორაცი 2:1; რადნიჩკი — კომი 1:0; სარტიდი — ობილიჩი 3:1; სუტიესკა — ოფკ 2:1; ზეტა — ბუდუჩნოსტი 0:0; ჰაიდუკი — ჟელეზნიკი 1:0; ცრვენა ზვეზდა — ზემუნი 1:1; ვოივოდინა — პარტიზანი 0:0

# ...და ან ცაზე ვარსკვლავები



# დანიელ პასარელა

# ძირს ჰომოსექსუალიზმი!

## დიადი ლაწირაკის დიადი მსხვერპლი

*„რივერ პლეიტში“ გატარებული შვიდი წლის ბოლოს დანიელ პასარელას დიადი კაპიტანი უწოდეს და კინაღამ ძეგლიც დაუდგეს, მაგრამ... არგენტინის ნაკრების მაშინდელი მწვრთნელი ლუის მენოტი ვერაფერს გახდა — იძულებული შეიქნა გუნდში ერთმანეთის მოძულე ორი ფეხბურთელის არსებობას შეჰგუებოდა. მან იცოდა, რომ არგენტინაში იყო კაცი, ძალიან ნიჭიერი კაცი, რომელიც ეროვნულ გუნდში პასარელას „დიად კაპიტნობას“ ვერ შეეგუებოდა. ეს კაცი „პასარელას ძეგლს“ სადაც ხელს მიაწვდენდა, დალეწავდა და მას დიეგო მარადონა ერქვა — ასე გაემართა მსოფლიოს ჩემპიონი ნაკრები 1982 წლის მუნდიალზე ესპანეთში*

თუ რა მოხდა ესპანეთში, ცალკე თემაა, რომელიც ამ წერილში არ გვაინტერესებს. შეგახსენებთ მხოლოდ, რომ არგენტინამ ბევრს ვერაფერს მიაღწია, ხოლო ნაკრების თავკაცის თანამდებობაზე მენოტი კარლოს ბილარდომ შეცვალა. ბილარდო მარადონისტი გახლდათ და პასარელას სულ უფრო იშვიათად იწვევდა ნაკრებში. ეს ის წლებია, როდესაც დიადი კაპიტანი დიდი ხელფასის ეშხით იტალიაში, „ფიორენტინაში“ გადაბარგდა. ერთი სიტყვით, ის არგენტინულ სამყაროს თითქოს მოცილდა, მაგრამ მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატზე მოსახვედრად შესარჩევი ციკლის სულ ბოლო შეხვედრაში ნაკრებს შედეგი დასჭირდა, ხოლო ქომაგებმა საგანგებოდ აიმაღლეს ხმა და ბილარდომ პასარელა გაიხსენა.

მაგრამ გახსენებაც არის და გახსენებაც, ცენტრალურ მცველს მარჯვენა თავდამსხმელის ამპლუაში რა უნდა? ბოლო თამაში პერუსთან იყო, არგენტინა 1:2-ს აგებდა, ხოლო პასარელა მოედანზე საფინალო სასტვენამდე სულ ცოტა ხნით ადრე, როგორც გითხარით, ძალიან უცნაური დავალებით შეუშვეს. 81-ე წუთზე დიადმა თუ ყოფილმა დიადმა კაპიტანმა ბურთი მიიღო, მეურვე ჩამოიშორა და დაარტყა. ბურთი კარში მიდიოდა, ოღონდ მას არგენტინელამდე გარეკადლიამ მიჰკრა ფეხი. ოქმში მისი გვარი ჩაიწერა, ხოლო პასარელამ სანაკრებო კარიერა დაასრულა — მარადონას გაშლილი წინააღმდეგობის ფრონტის გარდა, კუჭის დაავადებამაც ჩაუშალა მექსიკა 86-ზე თამაში. არა, ფორმალურად 22 კაცში თითქოს იყო, მაგრამ მოედანზე ფეხი წამითაც არ შეუდგამს.

არადა, საინტერესოა, რომ იმ წლებში დანიელ პასარელამ იტალიაში გამოიჩინა თავი: „ფიორენტინას“ დაცვა ხომ გაუმაგრა და გაუმაგრა, გოლებიც შეჰმატა. 1985-86 წლების სეზონში იების გოლთა მესამედი (!) სწორედ მან შეყარა, ეს ამბავი კი „ინტერის“ მაშინდელ პრეზიდენტს, ერნესტო პელეგრინოს ისე მოეწონა, რომ ფულს გავიდა და არგენტინელი კიდევ ორი წლით, შავ-ლურჯ ფორმაში გამოწყობილი დატოვა სერია A-ში.

1988 წლის ზაფხულს პასარელა არგენტინაში დაბრუნდა. მას თამაში აღარ უნდოდა, სამაგიეროდ, მისი თამაში სჭირდებოდათ „ბოკა ხუნიორსსა“ და „რივერ პლეიტს“. აქ, მწვრთნელად მენოტი იყო და პასარელამ უარი ვერ თქვა. მან „რივერის“ მაისურა მოირგო, მონაგარს შვიდი გოლი მიამატა და დღეს მსოფლიოში მეორეა ბომბარდირ მცველთა შორის — 134 გოლი აქვს გატანილი, პირველზე კი 193 გოლით რონალდ კუმანი გახლავთ.

ასე დასრულდა დანიელ პასარელას კარიერა მოედანზე და დაიწყო მისი ბრძოლა ჰომოსექსუალისტების წინააღმდეგ...

ეს, რასაკვირველია, ხუმრობით, პასარელას ძირითად პროფესიად მწვრთნელობა იქცა, მაგრამ ფაქტია, რომ მან პედერასტების წინააღმდეგაც გაილაშქრა და შესაძლოა, ამით უფრო გაითქვა სახელი, ვიდრე არგენტინის ნაკრების რაიმე დიდ შედეგამდე მიყვანით.

თანმიმდევრულად მოვყვეთ: 1988 წელს, მეგობრის, ამერიგო გალიეგოს დაჟინებით, პასარელამ ერთწლიან სამწვრთნელო კურსებზე შეიტანა საბუთები და 1990 წლის იანვარში „რივერში“ მენოტი შეცვალა. როგორც მწვრთნელი, პასარელა დიადი ნამდვილად არ გამოდგა (თუ ასე არ არის, ბოდიში მოგვითხოვია), მაგრამ როდესაც ქვეყნის ნაკრები მაინც ანდეს, გამოაცხადა: ჩემს გუნდში ჰომოსექსუალისტები არ იქნებიან! ამ განცხადებამ მთელს არგენტინაში დიდი რეზონანსი გამოიწვია. ტელეარხებმა დაიწყეს მრგვალი მაგიდების მოწვევა, სადაც პატიჟებდნენ მწვრთნელებს, სექსოლოგებს და სხვა პროფესიათა წარმომადგენლებს. ჰომოსექსუალისტები აწყობდნენ აქციებს, მოკლედ იჭრიდნენ თმებს და იქადნებოდნენ, რომ ყველგან, ყველა ფორმით შეაღწევდნენ.

„გარეგნული ნიშნებით ჰომოსექსუალისტს ვერ გამოარჩევ — განმარტავდა მავანი პროფესორი — ცნობილია რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მამაკაცური იერის ცნობილი სპორტსმენი სინამდვილეში ჰომოსექსუალისტი გამოდგა. თვით მორაგბეთა შორის გვხვდებიან ჰომოსექსუალისტები“.

ერთი სიტყვით, არგენტინამ თემა იშოვნა. ბევრმა სცადა პასა-



დანიელ პასარელას „რივერ პლეიტის“ კაპიტნობისას ძეგლის დადგმას უპირებდნენ



ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვრთნელმა პასარელამ თავი უფრო ჰომოსექსუალისტებთან ბრძოლით გამოიჩინა

რელასთვის აეხსნა, რომ მძივი, სამაჯური, საყურე, ბეჭედი და მოზრდილი თმა მამათმავლობას არ ნიშნავს, მაგრამ მწვრთნელი გაჯიქდა. და იცით მერე რა მოხდა? როდესაც მან საბოლოოდ, საფრანგეთში წასაყვანი 22 კაცის სია გამოაქვეყნა, ცნობილმა არგენტინელმა პედერასტმა და მამათმავალთა უფლებებისთვის მებრძოლმა კარლოს ხუარეგიმ განაცხადა, რომ სიაში ორი ჰომოსექსუალისტი იყო შეყვანილი. ვინ, არ დაუკონკრეტებია.

შემდეგ პასარელა ურუგვაის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში და 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს შეუტია, მაგრამ შუა შეჯიბრებაში მოეპრიანა და თანამდებობა დატოვა. ურუგვაის სასამართლომ კომპენსაციისთვის 837 ათასი დოლარის გადახდა დაავალა.

2001 წელს დანიელ პასარელა იტალიაში დაბრუნდა და „პარმასთან“ გაფორმა კონტრაქტი 2003 წლამდე, მაგრამ პირველი ხუთი თამაში რომ წააგო, დიდი მადლობით და 2,5 მილიონი დოლარის მიცემით დაემშვიდობნენ.

არადა, რომ ჩავიდა განაცხადა, ბედნიერი ვარ, რადგან დავბრუნდი ქვეყანაში, სადაც ექვსი ბრწყინვალე წელიწადი გავატარეო. მყისვე გაუხსენეს: „ფიორენტინაში“ თამაშის დროს „ვერონას“ ფიზიოთერაპევტს ურქინა, ხოლო „ინტერში“ რომ იყო, ბურთის მიმწოდებელ ბიჭუნას უთაქა და ამისთვის ექვსი თამაშით დასაჯეს.

თუმცა ეს არაფერი. მთავარი არ გვითქვამს, მთავარი კი ის არის, რასაც 1978 წელს უამრავმა ადამიანმა, მათ შორის ჰომოსექსუალისტმაც და ფიზიოთერაპევტმაც დაუკრა ტაში: 1978 წელს არგენტინის ნაკრები დიადი დანიელ პასარელას კაპიტნობით მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

...78-ის მუნდიალი რომ მოახლოვდა, მენოტი უეცრად კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. გაირკვა, რომ მის განკარგულებაში არ არიან გამოცდილი მცველები, ვულფი და კარასკოსა. კარასკოსამ სულაც დემარში მოაწყო და კაპიტნის სამკლავური დააგდო.

მენოტიმ ახალ კაპიტნად პასარელა ირჩია. მიზეზი: ნაკრებში ყველაზე მეტი ფეხბურთელი „რივერ პლეიტიდან“ იყო, პასარელა კი „რივერის“ კაპიტანი გახლდათ. და კიდევ, გაირკვა, რომ მწვრთნელს რაც უნდა ეთქვა, ახალი კაპიტანი მის მხარეს იჭერდა. სწორედ მაშინ დადგა მსოფლიოს ჩემპიონატის განაცხადში 25 კაციდან 22-ის შერჩევის აუცილებლობა და პასარელას დიდი მონაწილეობით სიიდან 17 წლის „ლაწირაკი“, დიეგო მარადონა ამოშალეს...

მუნდიალის წინ პასარელა დაფრინავდა, თავად ჩემპიონატის პირველ ჯგუფურ ეტაპზე კი თითქოს საკუთარი ძალისა ეეჭვებოდა, ისე თამაშობდა — მიუხედავად ამისა, ფრანგებს პენალტი ყოჩაღად გაუტანა.

ნახევარფინალურ ჯგუფში ის უკვე ბეჭებში გაშლილი, ნამდვილი ვარსკვლავი იყო, ხოლო ფინალში...

გახსოვთ სკანდალი რენე ვან დერ კერკჰოფის ხელზე დადებული თაბაშირის გამო? იცით, ის თამაში შვიდი წუთით გვიან რომ დაიწყო? ეს ხომ სწორედ პასარელამ იჩივლა ფინალის მსაჯ სერჯო გონელასთან, მეტოქე თაბაშირით არის და სახიფათოაო.

შემდეგ, დიდი ხნის მერე, ვან დერ კერკჰოფმა პასარელას სადღაც ჰკითხა, რატომ მოუვიდა აზრად იმ თაბაშირის გამო ამბის ატეხა. პასარელამ მიუგო, რომ ამაზე ყურადღება თანაგუნდელმა ლოპოლდო ლუკემ მიაქცევინა. კი მაგრამ, თქვენამდე იმ თაბაშირით სხვებსაც ვეთამაშე და არავის არაფერი უთქვამსო, გაკვირვებია ჰოლანდიელს.

— ალბათ, სხვებმა ამაზე არ იფიქრეს — იყო პასუხი.

**ბაბუნა ბედია**

# სარბიელის კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **23 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 055 | ქრუ-სტოკი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1.38 | 1,26 | 1.43 |
| 23.45 | 056 | შეფილდი-დერბი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 24.00 | 057 | სანდერლენდი-ჯილინგემი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 058 | უიმბლდონი-მილუოლი | 5,3 | 3,5 | 1,5 | 2,1 | 1,16 | 1,04 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **23 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 074 | ჩესტერფილდი-კოლჩესტერი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 075 | ბორნმუთი-ბლეკპული | 1.6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 23.45 | 076 | ტრანმერი-ბრისტოლი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1.43 | 1,24 | 1,37 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **23 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 092 | სკანთორპი-კარლაილი | 1,65 | 3.4 | 4,0 | 1,11 | 1,16 | 1,83 |
| 23.45 | 093 | მენსფილდი-სუონსი | 1.8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1.76 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი. გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **23 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 109 | სკარბორო-ექსეტერი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1.46 | 1,24 | 1,33 |
| 23.45 | 110 | შრუსბერი-ალდერშოტი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 23.45 | 111 | ტელფორდი-ფორესტ გრინი | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 112 | სკარბორო-ჰალიფაქსი | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. XXVII ტური** | | | | | | |
| | | **23 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 126 | რეინჯერსი-დანფერმლაინი | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 127 | ჰიბერნიანი-მაზერველი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 23.45 | 128 | ლივინგსტონი-დანდი იუნაიტედი | 2,3 | 3.2 | 2.9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი. XXVIII ტური** | | | | | | |
| | | **23 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 137 | რეითი-ქუინი | 2,6 | 3,4 | 2,3 | 1,47 | 1,22 | 1,37 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **23 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 145 | დამბარტონი-სტენჰაუსმური | 1,4 | 3,8 | 5,3 | 1,02 | 1,1 | 2,21 |
| 23.30 | 146 | ფორფარი-ერდრი | 2,45 | 3,4 | 2,4 | 1,42 | 1,21 | 1,4 |
| 23.45 | 147 | მორტონი-ბერვიკი | 1,75 | 3,5 | 3,5 | 1,16 | 1,16 | 1,75 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი. XXVIII ტური** | | | | | | |
| | | **23 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 155 | ისტ სტირლინგი-სტრანრაერი | 10,0 | 6,0 | 1,1 | 3,75 | 1 | 1 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XX ტური** | | | | | | |
| | | **23 მარტი** | | | | | | |
| 21.30 | 184 | ფიულენდორფი-ელვერსბერგი | 1,8 | 3,3 | 3,5 | 1,16 | 1,18 | 1,69 |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 22.00 | 185 | ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი | 1,8 | 3,3 | 3,5 | 1,16 | 1,18 | 1,69 |
| | | **იტალია. სერია A. XXIV ტური** | | | | | | |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 013 | ბოლონია-ლაციო | 3,2 | 3,0 | 2,25 | 1,54 | 1,32 | 1,28 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. XXVI ტური** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 233 | ალავესი-ხეტაფე | 2,0 | 2,7 | 4,0 | 1,14 | 1,33 | 1,61 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XXIV ტური** | | | | | | |
| | | **23 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 317 | ანდერლეხტი-ჰეუსდენი | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| | 318 | ანდერლეხტი-ჰეუსდენი 0:1 | 1,3 | 4,0 | 4,6 | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 23.00 | 319 | ანტვერპენი-მუსკრონი | 3,6 | 3,3 | 1,85 | 1,72 | 1,22 | 1,18 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი. XXII ტური** | | | | | | |
| | | **23 მარტი** | | | | | | |
| 22.00 | 331 | ბლაიბურგი-ლინცერი | 2,5 | 3,2 | 2,25 | 1,4 | 1,18 | 1,32 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი. XXIII ტური** | | | | | | |
| | | **23 მარტი** | | | | | | |
| 21.30 | 332 | ლეობენი-კაფენბერგი | 2,7 | 3,2 | 2,25 | 1.46 | 1,22 | 1,32 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა. გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 346 | დელემონი-სიონი | 2,8 | 3,2 | 2,0 | 1,49 | 1,16 | 1,23 |
| 22.30 | 347 | შო დე ფონი-ბადენი | 2,0 | 3,2 | 3,2 | 1,23 | 1,23 | 1,6 |
| 22.30 | 348 | ვოლენი-ვინტერთური | 1,7 | 3,4 | 4,0 | 1.13 | 1,19 | 1,83 |
| | | **ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა. XIX ტური** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 415 | ოპავა-ტეპლიცე | 2,15 | 3,1 | 3,1 | 1,26 | 1,26 | 1,55 |
| | | **ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა. XX ტური** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 416 | პლზენი-ბლშანი | 2,15 | 3,1 | 3,1 | 1,26 | 1,26 | 1,55 |
| | | **სლოვაკეთი. I ლიგა. XVIII ტური** | | | | | | |
| | | **23 მარტი** | | | | | | |
| 19.00 | 428 | ტრნავა-ტრენჩინი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | | **პოლონეთი. I ლიგა. XIV ტური** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 21.30 | 453 | გურნიკი-ლეხი | 2,0 | 3,2 | 2,8 | 1,23 | 1,16 | 1,49 |
| | | **უნგრეთი. NB1. XVII ტური** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 21.00 | 463 | უიპეშტი-ეტო | 1,65 | 3,3 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,88 |
| | | **ავსტრია. თასი. 1/8 ფინალი** | | | | | | |
| | | **23 მარტი** | | | | | | |
| 22.00 | 509 | ლუსტენაუ-ბრეგენცი | 4,0 | 3,3 | 1,75 | 1,8 | 1,21 | 1,14 |
| 22.00 | 510 | რიდი-უნტერზიბენბრუნი | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 22.00 | 511 | შტურმი-პაშინგი | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 22.30 | 512 | ადმირა-მატერსბურგი | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 22.30 | 513 | ტიროლი-გრაცერი | 3,2 | 3,2 | 2,05 | 1,6 | 1,24 | 1,24 |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 22.00 | 514 | კერნტენი-ზალცბურგი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |
| | | **დანია. თასი. 1/8 ფინალი** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 19.00 | 515 | ოლსტედი-ოდენსე | 6,0 | 3,8 | 1,45 | 2,32 | 1,16 | 1,04 |
| 21.00 | 516 | სილკებორგი-ნიკიობინგი | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,07 | 1,16 | 2,21 |
| 22.00 | 517 | ესბიერგი-ოლბორგი | 1,8 | 3,3 | 3,5 | 1,16 | 1,18 | 1,69 |
| 22.00 | 518 | ფრემი-ბრიონდბიუ | 4,6 | 3,6 | 1,55 | 2,01 | 1,15 | 1,08 |
| 22.00 | 519 | ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი | 3,6 | 3,3 | 1,8 | 1,72 | 1,19 | 1,16 |
| 22.00 | 520 | ჰადერსლევი-ვიბორგი | 2,7 | 3,3 | 2,25 | 1,48 | 1,22 | 1,33 |
| | | **რუსეთი. თასი. 1/8 ფინალი. II მატჩები** | | | | | | |
| | | **23 მარტი** | | | | | | |
| 16.00 | 522 | ურალანი-ცსკა | 6,0 | 3,6 | 1,45 | 2,25 | 1,16 | 1,03 |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 16.00 | 523 | შინიკი-ალანია | 1,65 | 3,3 | 4,6 | 1,1 | 1,21 | 1,92 |
| 16.00 | 524 | ტერეკი-ყუბანი | 2,3 | 3,1 | 2,3 | 1,32 | 1,15 | 1,32 |
| 16.00 | 525 | ლოკომოტივი-რუბინი | 1,4 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,15 | 2,31 |
| | | **ჩეხეთი. თასი 1/8 ფინალი** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 526 | ბანიკი-იაბლონეცი | 1,35 | 3,8 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,52 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **23 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 001 | მილანი-დეპორტივო | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 23.45 | 002 | პორტუ-ლიონი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 003 | ჩელსი-არსენალი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 23.45 | 004 | რეალი-მონაკო | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | | **უეფას თასი. 1/8 ფინალი. II მატჩები** | | | | | | |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 005 | ბრიუგე-ბორდო | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 23.30 | 006 | პსვ-ოსერი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 23.45 | 007 | რომა-ვილიარეალი | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| 24.00 | 008 | ინტერი-ბენფიკა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 24.00 | 009 | მარსელი-ლივერპული | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 24.00 | 010 | მალიორკა-ნიუკასლი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 24.00 | 011 | ბარსელონა-სელტიკი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 00.30 | 012 | ვალენსია-გენჩლერბირლიგი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **23 მარტი** | | | | | | |
| 02.00 | 530 | სტრონგესტი-პენიაროლი | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| 04.15 | 531 | სპორტინგ კრისტალი-როსარიო | 2,1 | 3,1 | 3,0 | 1,25 | 1,23 | 1,52 |
| 06.30 | 532 | ელ ნასიონალი-სანტოსი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 02.30 | 533 | ვილსტერმანი-ბარსელონა | 2,8 | 3,2 | 2,2 | 1,49 | 1,23 | 1,3 |
| 02.30 | 534 | ბოკა ხუნიორსი-დეპორტივო | 1,45 | 3,6 | 6,0 | 1,03 | 1,16 | 2,25 |
| 04.45 | 535 | კობრელოა-სან პაულო | 3,5 | 3,3 | 1,8 | 1,69 | 1,18 | 1,16 |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 02.00 | 536 | ინდეპენდიენტე-ნასიონალი | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 04.15 | 537 | კოლო კოლო-ბოლივარი | 1,55 | 3,6 | 4,4 | 1,08 | 1,14 | 1,98 |
| 04.15 | 538 | გუარანი-სანტოსი(ბრ) | 2,6 | 3,2 | 2,35 | 1,43 | 1,23 | 1,35 |
| 06.30 | 539 | ალიანსა-უნივერსიტარიო | 2,1 | 3,2 | 2,9 | 1,26 | 1,21 | 1,52 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | რაგბი. ექვსი ერის თასი | | | | | | |
| | | 27 მარტი | | | | | | |
| 18.00 | 901 | უელსი-იტალია | 1,05 | 20,0 | 7,5 | 1 | 1 | 5,45 |
| 20.00 | 903 | ირლანდია-შოტლანდია | 1,02 | 25,0 | 9,0 | 1 | 1 | 6,61 |
| 24.00 | 905 | საფრანგეთი-ინგლისი | 1,55 | 17,0 | 2,1 | 1,42 | 1 | 1,86 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჰოკეი. რუსეთი | | | | | | |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 17.30 | 1001 | მაგნიტოგორსკი-ნეფტეხიმიკი | 1,3 | 5,3 | 5,6 | 1,04 | 1,05 | 2,72 |
| | | ჰოკეი. სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 20.00 | 1121 | ზვოლენი-სლოვანი | 2,05 | 4,0 | 2,4 | 1,35 | 1,1 | 1,5 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჰოკეი. ფინეთი | | | | | | |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 20.30 | 1161 | ესპოო-ტურკუ | 2,8 | 4,4 | 1,8 | 1,71 | 1,09 | 1,27 |
| 20.30 | 1162 | ილვესი-ჰელსინკი | 2,2 | 4,2 | 2,3 | 1,44 | 1,12 | 1,48 |
| 20.30 | 1164 | იოკერიტი-კერპეტი | 2.15 | 4,2 | 2.35 | 1.42 | 1,12 | 1,5 |

## შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 23 მარტი | | |
| 23.45 | 7001 | მილანი-დეპორტივო | 1,4 | 2,4 |
| 23.45 | 7002 | პორტუ-ლიონი | 1,65 | 1,95 |
| | | 24 მარტი | | |
| 23.45 | 7003 | ჩელსი-არსენალი | 2,3 | 1,45 |
| 23.45 | 7004 | რეალი-მონაკო | 1,2 | 3,5 |
| | | 25 მარტი | | |
| 22.30 | 7005 | ბრიუგე-ბორდო | 3,5 | 1,2 |
| 23.30 | 7006 | პსჟ-ოსერი | 1,35 | 2,5 |
| 23.45 | 7007 | რომა-ვილიარეალი | 2,3 | 1,3 |
| 24.00 | 7008 | ინტერი-ბენფიკა | 1,25 | 2,8 |
| 24.00 | 7009 | მარსელი-ლივერპული | 1,5 | 2,0 |
| 24.00 | 7010 | მალიორკა-ნიუკასლი | 6,5 | 1,01 |
| 24.00 | 7011 | ბარსელონა-სელტიკი | 1,7 | 1,7 |
| 00.30 | 7012 | ვალენსია-გენჩლერბირლიგი | 1,35 | 2,3 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5201 | მილანი-დეპორტივო | 1,65 | 1,95 |
| 5202 | პორტუ-ლიონი | 1,65 | 1,95 |
| 5203 | ჩელსი-არსენალი | 1,75 | 1,85 |
| 5204 | რეალი-მონაკო | 1,85 | 1,75 |
| 5205 | ბრიუგე-ბორდო | 1,75 | 1,85 |
| 5206 | პსჟ-ოსერი | 1,6 | 2,0 |
| 5207 | რომა-ვილიარეალი | 1,8 | 1,8 |
| 5208 | ინტერი-ბენფიკა | 1,7 | 1,9 |
| 5209 | მარსელი-ლივერპული | 1,65 | 1,95 |
| 5210 | მალიორკა-ნიუკასლი | 1,8 | 1,8 |
| 5211 | ბარსელონა-სელტიკი | 1,75 | 1,85 |
| 5212 | ვალენსია-გენჩლერბირლიგი | 1,9 | 1,7 |
| 5213 | ბოლონია-ლაციო | 1,75 | 1,85 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5501 | მილანი-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5502 | პორტუ-ლიონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5503 | ჩელსი-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5504 | რეალი-მონაკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5505 | ბრიუგე-ბორდო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5506 | პსჟ-ოსერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5507 | რომა-ვილიარეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5508 | ინტერი-ბენფიკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5509 | მარსელი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5510 | მალიორკა-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5511 | ბარსელონა-სელტიკი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5512 | ვალენსია-გენჩლერბირლიგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5513 | ბოლონია-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5401 | მილანი-დეპორტივო | 1,4 | 3,0 |
| 5402 | პორტუ-ლიონი | 1,65 | 2,3 |
| 5403 | ჩელსი-არსენალი | 1,9 | 1,9 |
| 5404 | რეალი-მონაკო | 1,3 | 3,4 |
| 5405 | ბრიუგე-ბორდო | 1,7 | 2,2 |
| 5406 | პსჟ-ოსერი | 1,7 | 2,2 |
| 5407 | რომა-ვილიარეალი | 1,3 | 3,4 |
| 5408 | ინტერი-ბენფიკა | 1,3 | 3,4 |
| 5409 | მარსელი-ლივერპული | 1,8 | 2,0 |
| 5410 | მალიორკა-ნიუკასლი | 1,8 | 2,0 |
| 5411 | ბარსელონა-სელტიკი | 1,3 | 3,4 |
| 5412 | ვალენსია-გენჩლერბირლიგი | 1,2 | 4,0 |
| 5413 | ბოლონია-ლაციო | 2,0 | 1,8 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5301 | მილანი-დეპორტივო | 1,65 | 1,95 |
| 5302 | პორტუ-ლიონი | 1,7 | 1,9 |
| 5303 | ჩელსი-არსენალი | 1,6 | 2,0 |
| 5304 | რეალი-მონაკო | 1,7 | 1,9 |
| 5305 | ბრიუგე-ბორდო | 1,65 | 1,95 |
| 5306 | პსჟ-ოსერი | 1,65 | 1,95 |
| 5307 | რომა-ვილიარეალი | 1,75 | 1,85 |
| 5308 | ინტერი-ბენფიკა | 1,7 | 1,9 |
| 5309 | მარსელი-ლივერპული | 1,65 | 1,95 |
| 5310 | მალიორკა-ნიუკასლი | 1,65 | 1,95 |
| 5311 | ბარსელონა-სელტიკი | 1,65 | 1,95 |
| 5312 | ვალენსია-გენჩლერბირლიგი | 1,75 | 1,85 |
| 5313 | ბოლონია-ლაციო | 1.6 | 2.0 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5001 | მილანი-დეპორტივო | 1.95 | 2,2 | 5.6 | 1,03 | 1.44 | 1,57 |
| 5002 | პორტუ-ლიონი | 2,3 | 2,05 | 4,8 | 1.08 | 1,55 | 1,43 |
| 5003 | ჩელსი-არსენალი | 3,2 | 2,05 | 3,1 | 1,24 | 1.57 | 1,23 |
| 5004 | რეალი-მონაკო | 1,75 | 2,45 | 6,0 | 1.02 | 1.35 | 1,73 |
| 5005 | ბრიუგე-ბორდო | 2,4 | 2,05 | 4,4 | 1,1 | 1,55 | 1,39 |
| 5006 | პსჟ-ოსერი | 2,4 | 2,05 | 4,4 | 1.1 | 1,55 | 1,39 |
| 5007 | რომა-ვილიარეალი | 1,75 | 2.45 | 6,0 | 1,02 | 1,35 | 1,73 |
| 5008 | ინტერი-ბენფიკა | 1,8 | 2,35 | 6,0 | 1,01 | 1,38 | 1.68 |
| 5009 | მარსელი-ლივერპული | 3,0 | 2,05 | 3,3 | 1.21 | 1,57 | 1,26 |
| 5010 | მალიორკა-ნიუკასლი | 2,8 | 2,15 | 3,3 | 1,21 | 1,51 | 1,3 |
| 5011 | ბარსელონა-სელტიკი | 1,75 | 2.45 | 6,0 | 1.02 | 1.35 | 1.73 |
| 5012 | ვალენსია-გენჩლერბირლიგი | 1,55 | 2,8 | 7,0 | 1 | 1,26 | 2 |
| 5013 | ბოლონია-ლაციო | 3,6 | 2,05 | 2,7 | 1.3 | 1,54 | 1.16 |

| 1-ლი | ტაიმი/ძირითადი დრო | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5101 | მილანი-დეპორტივო | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5102 | პორტუ-ლიონი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5103 | ჩელსი-არსენალი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5104 | რეალი-მონაკო | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5105 | ბრიუგე-ბორდო | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5106 | პსჟ-ოსერი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5107 | რომა-ვილიარეალი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,4 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5108 | ინტერი-ბენფიკა | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5109 | მარსელი-ლივერპული | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5110 | მალიორკა-ნიუკასლი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5111 | ბარსელონა-სელტიკი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5112 | ვალენსია-გენჩლერბირლიგი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,0 | 14,0 | 25,0 | 14,0 | 14,0 |
| 5113 | ბოლონია-ლაციო | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |

# ჩემპიონები და თასის აღება

**9004**

**ესპანეთი (27.03)**

| | |
|---|---|
| რეალი | 1,35 |
| ვალენსია | 2,5 |
| ბარსელონა | 6,5 |
| დეპორტივო | 40,0 |

**9005**

**საფრანგეთი (27.03)**

| | |
|---|---|
| მონაკო | 1,7 |
| ლიონი | 1,7 |
| პსჟ | 5,0 |

**9008**

**ავსტრია (27.03)**

| | |
|---|---|
| აუსტრია | 1,5 |
| გრაცერი | 3,0 |
| რაპიდი | 4,0 |

**9009**

**დანია (27.03)**

| | |
|---|---|
| ბრიონდბიუ | 2,0 |
| ესბიერგი | 2,5 |
| კოპენჰაგენი | 2,5 |

**9010**

**საბერძნეთი (27.02)**

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი | 1,7 |
| ოლიმპიაკოსი | 1,8 |

**9011**

**უკრაინა (27.03)**

| | |
|---|---|
| შახტარი | 1,45 |
| დინამო | 2,1 |

**9021**

**ჩემპიონთა თასი (23.03)**

**რომელი ქვეყნის გუნდი აიღებს თასს**

| | |
|---|---|
| ინგლისი | 2,0 |
| იტალია | 3,6 |
| ესპანეთი | 2,4 |
| საფრანგეთი | 8,5 |
| პორტუგალია | 10,0 |

**9021**

**ჩემპიონთა თასი (23.03)**

| | |
|---|---|
| რეალი | 3,3 |
| არსენალი | 3,6 |
| მილანი | 3,6 |
| ჩელსი | 5,0 |
| დეპორტივო | 9,0 |
| პორტუ | 10,0 |
| ლიონი | 15,0 |
| მონაკო | 20,0 |

**9023**

**უეფას თასი (25.02)**

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 5,0 |
| ინტერი | 5,0 |
| ვალენსია | 5,0 |
| ნიუკასლი | 5,0 |
| რომა | 6,0 |
| ლივერპული | 7,0 |
| სელტიკი | 10,0 |
| მარსელი | 10,0 |
| ბორდო | 12,0 |
| პსჟ | 12,0 |
| ვილიარეალი | 12,0 |
| ოსერი | 20,0 |
| ბენფიკა | 25,0 |
| გენჩლერბირლ. | 30,0 |
| ბრიუგე | 40,0 |
| მალიორკა | 50,0 |

**9031**

**NHL (05.04)**

| | |
|---|---|
| კოლორადო | 4,0 |
| დეტროიტი | 5,0 |
| ფილადელფია | 5,5 |
| ვანკუვერი | 6,0 |
| ნიუ ჯერსი | 6,5 |
| ოტავა | 7,0 |
| ტორონტო | 6,0 |
| დალასი | 12,0 |
| სტ.ლუისი | 25,0 |
| სან ხოსე | 15,0 |
| ტამპა ბეი | 10,0 |
| ბოსტონი | 18,0 |
| ლოს ანჯელესი | 25,0 |
| კალგარი | 30,0 |
| აილენდერსი | 40,0 |
| მონრეალი | 40,0 |
| ნეშვილი | 40,0 |

**9032**

**NBA (15.04)**

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 2,0 |
| საკრამენტო | 3,5 |
| სან ანტონიო | 5,0 |
| მინესოტა | 6,0 |
| დალასი | 8,0 |
| ინდიანა | 10,0 |
| ნიუ ჯერსი | 12,0 |
| დეტროიტი | 15,0 |
| ნიუ ორლეანი | 30,0 |
| ჰიუსტონი | 50,0 |
| ნიუ იორკი | 60,0 |
| ფილადელფია | 75,0 |
| ბოსტონი | 75,0 |
| დენვერი | 75,0 |
| ტორონტო | 75,0 |
| მილუოკი | 75,0 |
| მემფისი | 75,0 |
| პორტლენდი | 100,0 |

ევროპის ერთა თასი. მეხუთე ტური. 27 მარტი. იასი

## რუმინეთი VS საქართველო

# რაც არ გამოდის, არ გამოდის

## ლეგიონი ვერ ჩამოდის

ზედიზედ ორი თამაშის მომგებ ბორჯღალოსნებს წლევანდელ ერთა თასზე ერთადერთი, მაგრამ ყველაზე ძნელი გამოცდა დარჩათ. მრავა-



მიხეილ ბურძგლა

ლგზის გადახალისებული გუნდი რომ რუმინეთში სრული საბრძოლო შემადგენლობით აპირებდა ჩასვლას, ადრეც გაცნობეთ. ძველი გვარდიით გაძლიერება მწვრთნელებმა კი ისურვეს, მაგრამ მიზეზთა გამო ჩეხეთთან ნათამაშევ შემადგენლობას ოდენ ორი ლეგიონერი ემატება.

„ჯიმშელაძე, მჭედლიშვილი, დიდებულიძე და შველიძე ნაკრებისთვის დიდი ძალაა და მათი ჩამოყვანა გადაწყვეტილიც იყო, მაგრამ რუმინეთში ერთსაც ვერ წავიყვანთ. ოთხივეს ტრავმა აწუხებს — გვითხრა გუშინ მიხეილ ბურძგლამ — ვერც ხინჩაგაშვილის ჩამოსვლა ხერხდება. საჩეხეთო განაცხადს რუსეთთან ნათამაშები ილო მაისურაძე და ლევან ჯაველიძე ემატებიან. შალვა პაპაშვილზე ამჯერად თავად ვთქვით უარი. ლექსო გუგავას თამაში კი ტრავმის გამო გამოირიცხა. ტკივილები აწუხებთ ჩხაიძეს, ზედგინიძეს, დადუნაშვილსა და ფირფილაშვილსაც, მაგრამ ისინი შეკრებას აუცილებლად დაიწყებენ.“

წინასარუმინეთო შეკრება დღეს დილით, მცხეთაში იწყება. ნაკრები იქ მატჩის წინა დღემდე, პარასკევამდე დარჩება. რუმინეთს კი ჩარტერით გაფრინდება, თუმც ეს საკითხი ჯერ ბოლომდე მოგვარებული არაა. მორაგბეები სახელმწიფოს მხრიდან დახმარებას კვლავაც ამაოდ ელიან.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ილია მაისურაძე

### საქართველოს ნაკრები

**შერკინება**

მევლუდ [illegible]
დავით დადუნაშვილი
ნიკო [illegible]
ოთარ კუთარაშვილი
სანდრო ესაკია
ლევან ჯაველიძე
ილია ზედგინიძე (კაპ)
მამუკა გორგოძე
დავით ულენტი
ბესიკ უდესიანი
ილია მაისურაძე
ზვიად მაისურაძე
გიორგი ჩხაიძე

**უკანა ხაზი**

მერაბ კვირიკაშვილი
ბიძინა სამხარაძე
ბობა კვინიხიძე
დენის პინჩუკოვი
ნონო ანდღულაძე
ლაშა ფირფილაშვილი
თედო ზიბზიბაძე
გიორგი შკინინი
ოთარ ბარკალაია

# თაობა თამიანი მოდის

## ხალხმა გვიყუროს, მთავრობამ მოგვხედოს

*ლექსო გუგავა და მერაბ კვირიკაშვილი ბორჯღალოსნების უმცროს თაობას მიეკუთვნებიან. მწვრთნელები ახალგაზრდებს ნაკრებში დამკვიდრების შანსს აძლევენ, 2007 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი თამაშებისთვის საჭირო მოთამაშეებს არჩევენ და რამდენიმეს უკვე მოინიშნავდნენ. ლოკომოტიველი ლექსო გუგავას დებიუტი წლეულს ერთა თასის თამაშებში შედგა და ვფიქრობთ, ურიგოდ არ უთამაშია. მერაბ კვირიკაშვილს ნაკრებში თამაშის ერთი წლის სტაჟი აქვს. კლოდ სორელმა კვირიკაშვილი ავსტრალიაშიც წაიყვანა და „მეკო“ მსოფლიოს თასზე ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშეც გახლდათ. ნაკრების ახალმა მწვრთნელებმა ის ძირითად გუნდში ჩეხეთთან აღადგინეს. სპორტული ამბიცია არც ლექსოს და არც მერაბს აკლია და ჩეხეთთან ორივემ რიგიანად ითამაშა — გუგავამ პირველ სალელოვე გარღვევას სათავე დაუდო, კვირიკაშვილმა კი გააგრძელა და მთელი თამაში არიგა კარგი პასები.*

*რასაც ფიქრობენ, ისინი ნაკრებზე, რაზე ოცნებობენ, როგორ ესახებათ მომავალი, აი, თემები რომელზეც გუგავასა და კვირიკაშვილს გავესაუბრეთ*

— გილოცავთ ჩეხეთთან გამარჯვებას. მოგვიყევით, რა ხდებოდა მოედანზე, როგორი მატჩი იყო?

**გუგავა** — გამარჯვება ძალიან გაგვიხარდა, თუმც თამაშის ხარისხისა რა გითხრათ, საგრძნობლად დაბალი დონის იყო. თავი იჩინა ძველმა ხარვეზებმაც, ბევრი ბურთი დავკარეთ, რაც პროფესიონალ მორაგბეს არ შეჰფერის. დადებით მხარეს რაც შეეხება, ძალიან მომეწონა ჩვენი ლელოები და ბობა კვინიხიძის გარდასახვები.

**კვირიკაშვილი** — ჯერ შეუთამაშებლები ვართ. უფრო მეტი ტესმატჩია საჭირო, რათა ამდენი შეცდომა არ დავუშვათ. რაც შეეხება ლელოებს, მოწინააღმდეგის „ქალაქის“ ორჯერ აღებით მეც კმაყოფილი დავრჩი, უდავოდ ლამაზად გამოგვივიდა.

— შეუთამაშებლობას ისიც ხომ არ იწვევს, რომ მწვრთნელებს თითქმის ყველა თამაშზე ახალი შემადგენლობა გამოჰყავთ?

**გუგავა** — რა თქმა უნდა, ეს არ არის კარგი გუნდისთვის. თითოეული მორაგბე ინდივიდუალურად კარგად თამაშობს, მაგრამ კარგი იქნება, თუ ერთი გუნდი შეიკვრება და მთელ სეზონს ითამაშებს, თამაშის დახვეწაც მოხერხდება. თუმც ეს მწვრთნელებიც დებიუტიანტები არიან და უნდათ, რომ ყველა მოთამაშე გამოცადონ, რათა 2007 წლისთვის საფუძვლიანად მოვემზადოთ.

**კვირიკაშვილი** — მოთამაშეების გამოცდა აუცილებელია. სხვანაირად ძლიერი ნაკრებს ვერ შეკრავენ. ყველას შესაძლებლობები უნდა შეაფასონ. ახლანდელ თამაშებს დიდი მნიშვნელობა ნამდვილად არა აქვს. ვფიქრობ, ორ წელიწადში ნაკრების ძლიერი ბირთვი გვეყოლება და პრობლემებიც ნაკლებად გვექნება.

— როგორ გგონით, როდემდე ითამაშებს ნაკრები უხელფასოდ, ენთუზიაზმზე?

**გუგავა** — ერთა თასის მატჩებზე ენთუზიაზმი კარგიცაა, მაგრამ მსოფლიოსათვის რომ დაიწყება მზადება, კავშირმა და ხელისუფლებამ ყურადღება უნდა მოგვაქციონ. მნიშვნელოვან მატჩებზე მოთამაშე თამაშის გარდა არაფერზე არ უნდა ფიქრობდეს. ალბათ უფულობა იყო იმის მიზეზი, რომ მსოფლიოზე ურუგვაისთანაც დავმარცხდით. როგორც ვიცი, მოსამზადებელ შეკრებაზეც აკლდათ ჩვენს ბიჭებს ბევრი რამ... მეტი დაინტერესება რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, ჩვენი ეროვნული ნაკრები ავსტრალიაში უკეთ გამოვიდოდა.

**კვირიკაშვილი** — ყველაფერში ვეთანხმები ლექსოს და მხოლოდ იმას დავამატებ, რომ ჩვენი ავსტრალიური ვოიაჟის წინ საფრანგეთში შეკრებაზე „ბოშებივით“



ნინო ლეჟავას ფოტო

მერაბ კვირიკაშვილი და ლექსო გუგავა

დავეხეტებოდით სასტუმროდან სასტუმროში. ნაკრებს დაფინანსება რომ ჰქონოდა, ამღენ სასტუმროშიც არ მოგვიწევდა ცხოვრება. მხოლოდ ბოლო სამ თვეს გვაძლევდნენ დღიურ თანხებს, რაც ცოტათი წაგვეხმარა.

— რადენი იყო ეს ჯიბის თანხა?

**კვირიკაშვილი** — დღეში 25 ევრო ირბ-მ გამოგვიყო.

— მაშინ სხვა მთავრობა იყო, ახლა სხვაა, იმედები არ მოგეცათ?

**გუგავა** — ჯერ რაგბის სხვა მთავრობის არაფერი დაეტყო. იმედი გვაქვს, რომ პრეზიდენტიცა და მინისტრიც მოგვაქცევენ ყურადღებას. პლატინიმ საკაშვილი მორაგბეს შეადარა... იქნებ მოგვხედოს...

**კვირიკაშვილი** — ამას წინათ ისიც ითქვა, ფეხბურთს 100 მოედანი უნდა გამოეყოსო. ჩემი აზრით, რაგბზეც უნდა განაწილდეს სტადიონები და ერთნაირი ყურადღება უნდა მიექცეს სპორტის ამ ორ სახეობას.

— სულ მალე რუმინეთთან გვაქვს თამაში. რუსებმა მათთან სენსაცია მოახდინეს, ჩვენ რა შანსები გვაქვს?

**გუგავა** — რუმინელები ჩვენთვის ყველაზე პრინციპული მეტოქეები არიან. მიუხედავად იმისა, რომ ერთა თასზე შანსები დავკარგეთ, „მუხის ფოთლებთან“ პირადი ანგარიშები გვაქვს. ანთიმოზ ივერიელის თასი მათ აქვთ წაღებული და უნდა დავიბრუნოთ.

**კვირიკაშვილი** — რუმინეთის ნაკრებს ახლა ვერ შევაფასებ, იქ გამოჩნდება ყველაფერი. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ამ ერთ კვირაში როგორ მოვემზადებით. უნდა მოვიგოთ და თასი დავიბრუნოთ. რუმინეთთან უფრო გაგვიჭირდება, ვიდრე რუსებთან, რადგან „მუხის ფოთლები“ უფრო შინაარსიან და ლამაზ რაგბის თამაშობენ.

— შეკრებაზე კვლავაც „მცხეთა პალასში“ იქნებით. როგორი სასტუმროა?

**გუგავა** — ძალიან კარგი. რაც შეეხება კვებას, ჩვენმა ექიმმა კოტე კილაძემ სპორტული მენიუ შეგვიდგინა.

**კვირიკაშვილი** — მენიუში ჯანმრთელი საკვებია. ცხიმი და მარილი ნაკლებია. ძირითადად მოხარშულ ხორცს, წვნიანს, ხილს და ბოსტნეულს, ასევე ბურღულეულს ვეტანებით.

— ორივენი ხშირად ჩანდით ტელევიზიით. „მეკო“ შენ თამთა გოგუაძის კლიპში გადაგიღეს, ლექსო კი ერთ-ერთ გამაგრილებელ სასმელს უკეთებს რეკლამას. თუ გცნობენ ქუჩაში?

**გუგავა** — მეკოს უფრო სცნობენ, ვიდრე მე. 4 წუთი ჩანს კლიპში. ხან ცხენზეა ამხედრებული, ხან არწივი აზის ხელზე... ჩემზე კი რა გითხრათ, უფრო მეგობრები მცნობენ, რადგან სულ სამი წამი ვჩანვარ.

**კვირიკაშვილი** — აქ‌ღრე უფრო მცნობდნენ, როდესაც კლიპი ხშირად ტრიალებდა ეთერში. მახსოვს, ერთხელ სამარშრუტო ტაქსში ავედი და ვიღაცამ ავტოგრაფი მთხოვა, ტელევიზიით ხშირად გხედავთო.

— ლექსო, შენ რეკლამაში ილია ზედგინიძეს ეწევი აუტში, ის ხომ შენზე გაცილებით მძიმეა, როგორ ახერხებ?

— მას მე და ელდარ კურტანიძე ვეწევით, თუმც ელდარი ამოჭრეს და გამოდის, რომ მარტო ვარ.

— მორაგბის პოპულარობა მეტად გსიამოვნებთ თუ „ტელევარსკვლავის“?

**გუგავა** — პოპულარობა ორივე მხრივ გსიამოვნებს, მაგრამ რადგან მაინც მორაგბეები ვართ, მინდა, რაგბი ნომერ პირველი სპორტი გახდეს საქართველოში და მორაგბეები კი ყველაზე ცნობილი „ვარსკვლავები“.

**კვირიკაშვილი** — სასიამოვნოა, როცა რაგბის „ვარსკვლავი“ ხარ და სადმე რომ გამოჩნდები, შენზე იტყვიან, ეს მორაგბე არისო. რაც შეეხება ლექსოს ნათქვამს, რომ პირველი „ვარსკვლავები“ უნდა ვიყოთო, მჯერა, ეს ასეც იქნება.

**ნინო ლეჟავა**

# დიჟონი მამაცაშვილს პარიზში დახვდა
# ბონჟუ, ჟორჟ!

*ფრანგებმა თბილად მიიღეს გიორგი მამაცაშვილი, პარიზში კაცი დაახვედრეს, რომელმაც დიჟონში მანქანით ჩაიყვანა თბილისიდან გასასინჯად ჩასული 17 წლის ქართველი. ვახტანგ ნაცვლიშვილისა და ვიქტორ სანიკიძის შემხედვარე დიჟონელებს ქართველების ნიჭიერებაში ეჭვი ალბათ აღარ ეპარებათ და მოსალოდნელია, მესამე ჩვენებურიც დაიტოვონ. მამაცაშვილს პირველი სრული ვარჯიში გუშინ ჰქონდა, პარასკევს კი მან მცირე ოფლი მოიღვინა „დიჟონის" ძირითადის ხალხთან. გუშინწინ, როცა მამაცაშვილს ვესაუბრეთ, ის და სანიკიძე პარიზის დასათვალიერებლად მიდიოდნენ*



— ჯერჯერობით ყველაფერი მშვენივრადაა. დიჟონელები თბილად შემხვდნენ და თავს მყვებიან. პარიზში რომ ჩავფრინდი, „დიჟონის" წარმომადგენელი დამხვდა და კლუბში მანქანით მიმიყვანა. პარიზიდან დიჟონამდე 300 კილომეტრია.

**— კლუბის უფროსებს თუ შეხვდი?**

— მთავარ მწვრთნელს ვარჯიშზე გავესაუბრე, პირისპირ არავისთან მისაუბრია. კლუბში რომ მივედით, ვარჯიში იწყებოდა, მეორე დღეს თამაში ჰქონდათ და მცირე ხნით მოითელენ. მწვრთნელმა, შენც ივარჯიშეო. 5-10 წუთი მომიწია მოედანზე ყოფნა.

**— მოაწონე თავი?**

— ასე მოკლე ხანში? შეიძლება ითქვას, რომ დიჟონელებს საქმეში არც ვუნახივარ. მეორე დღეს „რუანთან" თამაშობდნენ და სრული დატვირთვით არ უვარჯიშიათ. მეც ცოტა გავიქეც-გამოვიქეცი, ახალი „ბოტასები" და ტრუსმაისური მოვირგე.

**— „ოლიმპიაკოსიდან" ხომ არ შეგხმიანებიან?**

— არა, მაგრამ ჩემს ახალ აგენტ სალივან რიდს ველაპარაკე, რომელიც ჩემს გასაცნობად დიჟონში ჩამოვიდა. კონტრაქტის ასლი ვაჩვენე, წაიკითხა და მითხრა, რა განერვიულებს, ცამდე მართალი ხარ, ბერძნებმა კონოტრაქტის პირობები დაგირღვიეს და იქით უნდა გიფრთხოდნენო.

**— რიდი უკვე ელაპარაკა „დიჟონის" ხელმძღვანელობას შენს შესახებ?**

— ფრანგები ალბათ ერთ კვირაში გადაწყვეტენ, დამიტოვებენ თუ არა. რიდს მხოლოდ ის უთხრეს, შენს კლიენტთან სანამ კონტრაქტს გავაფორმებდეთ, ვიქტორ სანიკიძის ბინაში იცხოვრებსო. თუ თავს გამოვიჩენ, მერე ალბათ კონტრაქტის პირიბებზეც დაელაპარაკებიან.

**— კვირადღეს რა გეგმები გაქვს?**

— კვირა დასვენების დღეა და ვიქტორთან ერთად პარიზში მივდივარ. ეგებ ვერ მოვახერხო „დიჟონში" დარჩენა და მერე როგორ ვთქვა, საფრანგეთში ვიყავი და პარიზი არ მინახავსო. ვიქტორმა უკვე ჩაიცვა, მეც გავემზადები და მატარებლით 2 საათში პარიზში ვართ. საღამოს დავბრუნდებით და ეგრევე უნდა დავიძინო, ორშაბათს პირველი ვარჯიში მაქვს. იმედია, დიჟონელები არ დამიწუნებენ.

**— ალბათ არ გაგიჭირდება, ვატო და ვიქტორი მანდ არ გყავს, სტიმულიც არის...**

— რა თქმა უნდა, ესენი რომ არა, აქ არც ჩამოვიდოდი. ქართველებს „დიჟონში" თავისი სიტყვა ეთქმით. ფრანგები დიდ პატივს სცემენ ჩვენებურებს.

**— შენ რა გითხრეს მანდაურებმა?**

— ისეთი არაფერი, მხოლოდ გავიცანი. ისე, კარგი ხალხი რომ არიან, მათი თბილი ურთიერთობიდანაც ჩანს. უკვე ახლობლად ჩამთვალეს და ერთმა ხუმრობით ესეც კი მითხრა, საქართველოში საჭმელი არ იშოვება, შენც სანიკიძესავით გაჩხიკინებული რომ ხარო...

**ირაკლი პერტაია**

---



**მანუჩარ მარკოიშვილს თამაში აღარ მისდის**

# მარკომანია გართულდა
## მიტელდოიჩერს მანოს უკმარისობა დაეტყო

**ერთკვირიანი** შესვენების შემდეგ გიორგი ცინცაძე კვლავ გამოჩნდა დიდ ცსკა-ში. მისი ორი კვირის წინდელი დებიუტის შემდეგ არმიელებმა ცინცაძე კვლავ ზურგში, დუბლიორებში გადაისროლეს, ახლა კი, „არსენალთან" ისევ ფრონტზე დააბრუნეს.

მეტოქე სუსტი კი იყო, მაგრამ ეს მატჩი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო არმიელთათვის. „არსენალის" დამარცხებით ცსკა ტურით ადრე ინაღდებდა რეგულარული ჩემპიონატის პირველ ადგილს, რაც მოსკოველებისთვის ერთობ ნიშანდობლივია საპლეიოფოდ, რაკი მთავარი კონკურენტები მათ სწორედ პროვინციებში, პერმში და კაზანში ჰყავთ „ურალ გრეიტისა" და „უნიკსის" სახით. ცსკა-მ სძლია „არსენალს" და ამაში 17 წლის ქართველის ხელიც ურევია.

ცინცაძემ საწყისი სამი მეოთხედი სკამზე გაატარა, უკანასკნელი ათწუთეული კი სრულად ითამაშა. ურიგოდ არ გარჯილა, ორ საჯარიმოსთან ერთად ერთი სამქულიანიც მიითვალა და მხოლოდ ერთხელ ააცილა საშუალო დისტანციიდან. ცინცაძემ 3 ბურთიც მოხსნა საკუთარ ფარზე და დუშან ივკოვიჩის მოწონება დაიმსახურა — სერბმა სპეციალისტმა ნამატჩევს საგანგებოდ გამოარჩია ახალგაზრდული წილი თავისი გუნდის გამარჯვებაში.

რუსეთიდან უფრო ღრმად გავიჭრათ ევროპაში, თუმც ბებერ კონტინენტზე ქართველთა სატრაბახო ბევრიც არაფერი გაკეთებულა გასულ კვირაში. ვახტანგ ნაცვლიშვილმა ჩვეულად სტაბილურად ითამაშა „დიჟონში", „რუანისთვის" ჩაგდებულ 12 ქულას მას ვერც გმირობაში ჩავუთვლით და ვერც უიღბლობაში. ვატოსთვის 12-ქულიანი მატჩები რიგითი მოვლენაა, საშუალო „რუანის" დამარცხებას ესეც ეყო და ქართველ ფორვარდს მეტად რად უნდა გამოედო თავი?

თუ რატომ არ ითამაშა ვიქტორ სანიკიძემ, ეს „დიჟონში" გასასინჯად ჩასული გიორგი მამაცაშვილისგან შევიტყვეთ — ვიქტორმა „რუანის" დუბლებთან 40 წუთი ითამაშა და გვარიანად გადაღლილი ძირითად გუნდში მწვრთნელმა აღარ გაიყვანა მოედანზეო. „დიჟონი" კი ამ გამარჯვებით მე-4 ადგილზე ალზევდა, ის თანდათან მკვიდრდება ნამდვილ ელიტაში.

აღარ დასრულდა მანუჩარ მარკოიშვილის „მიტელდოიჩერის" უიღბლო სერია. თუ ქართველი უკანახაზელის მისვლის შემდეგ ვეისენფელსელებს საპლეიოფო რვეულში მოხვედრის იმედი მიეცათ, ახლა იმდენს აგებენ, ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებაც კარგ შედეგად ჩაეთვლებათ. ამჯერად „მიტელდოიჩერმა" შინ წააგო კიოლნის „ენერგისთან" და გასავარდნთა ზონიდან ერთი საფეხური-ღა აშორებს. მარკოიშვილმა ვერც ამჯერად იყოჩაღა, 23-წუთიანი ბურთაობა 3 ქულითა და 1 მოხსნით დაასრულა.

**ირაკლი პერტაია**

## ქართული ლეგიონი გასულ კვირაში

| | გუნდი | მეტოქე | ტურნირი | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ | წ/ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გიორგი ცინცაძე | ცსკა | არსენალი | რუსეთის ჩემპიონატი | შ | 113:70 | 10 | 5 | 3 | 0 | 16,2/7,5 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | მიტელდოიჩერი | ენერგი | ბუნდესლიგა | შ | 80:82 | 23 | 3 | 1 | 0 | 27,2/8,3 |
| ვლადიმერ ბოისა | ოლიმპია | პო ორტეზი | ევროლიგა | ს | 77:83 | არ უთამაშია | | | | 29/10 |
| | | ბანალუჩკა | ადრიატიკის ლიგა | შ | 96:45 | 29 | 8 | 6 | 1 | 27/12 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | დიჟონი | რუანი | საფრანგ. ჩემპიონ. | შ | 92:83 | 32 | 12 | 5 | 0 | 27/15 |
| ვიქტორ სანიკიძე | დიჟონი | რუანი | საფრანგ. ჩემპიონ. | შ | 92:83 | არ უთამაშია | | | | 5/1,7 |
| ზაზა ფაჩულია | ორლანდო | ლეიკერსი | NBA.რეგულარ. ჩემპ. | ს | 110:113 | 4 | 0 | 0 | 0 | — |
| | | გოლდენ სტ. | NBA.რეგულარ. ჩემპ. | ს | 85:110 | 8 | 5 | 1 | 0 | 11/3,2 |
| ნიკა ცქიტიშვილი | დენვერი | ბოსტონი | NBA.რეგულარ. ჩემპ. | ს | 100:104 | არ უთამაშია | | | | — |
| | | დეტროიტი | NBA.რეგულარ. ჩემპ. | ს | 75:94 | 3 | 0 | 1 | 0 | 7,4/2,5 |

**შენიშვნა:** წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი;
წ/ქ — ტურნირის მატჩებში საშუალოდ ნათამაშები წუთები და მოგროვილი ქულები; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

## რეგულარული ჩემპიონატი

NBA

21 მარტი

**მინესოტა 98:77 დენვერი**
**მინესოტა:** ჰასელი (18), ჰასეტი (2), ბერიუელი (11), გარნეტი (20 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი), ჯონსონი (2); შჩერბიაკი (18), ოლოვოკანდი (10), ჰოიბერგი (7), მადსენი (4), ტრენტი (4), ო. მილერი (2)
**დენვერი:** ა. მილერი (10), ლენადრი (8), ენტონი (13), ნენე (8), კემბი (4); ბოიკინსი (11), ცქიტიშვილი (12 წუთი, 7 ქულა, 3 მოხსნა, 1 ჩაჭრა), ბერი (6), ელსონი (4), ბოუენი (4), დოლიკი (2)

**სიეტლი 84:67 ორლანდო**
**სიეტლი:** ბერი (12 პასი), ალენი (22), ლუისი (18), ევანსი (4), პოტაპენკო (21); რადმანოვიჩი (12), ჯეიმსი (4), მიურეი (3), დანიელსი, რიდნორი, სისი, ბუთი
**ორლანდო:** ლუ (11), სტივენსონი (10), იონსენი (2), ჰოვარდი (20), დეკლერკი; გუდენი (17), ბოგანსი (3), გეინისი (2), რუქსი (2), ჰანტერი
*ფაჩულია სათადარიგო იყო*

**ნიუ ჯერსი 98:101 დალასი**
**ნიუ ჯერსი:** ჯეფერსონი (22)
**დალასი:** ნოვიცკი (21)

**კლიპერსი 85:96 გოლდენ სტეიტი**
**კლიპერსი:** ბრენდი (20)
**გოლდენ სტეიტი:** რიჩარდსონი (28)

**ვაშინგტონი 81:101 მაიამი**
ვაშინგტონი: ბლეიკი (21)
მაიამი: ვეიდი (22)

**კლივლენდი 76:96 დეტროიტი**
**კლივლენდი:** ბუზერი (21 ქულა, 17 მოხსნა)
**დეტროიტი:** ბილაფსი (18)

**ნიუ ორლეანი 120:121 ტორონტო**
ძირითადი დრო 109:109
**ნიუ ორლეანი:** დევისი (28)
**ტორონტო:** კარტერი (42)

**საკრამენტო 100:95 ჰიუსტონი**
**საკრამენტო:** სტოიკოვიჩი (29)
**ჰიუსტონი:** ტეილორი (23)

**ლეიკერსი 104:103 მილუოკი**
ძირითადი დრო 92:92
**ლეიკერსი:** ონილი (31 ქულა, 26 მოხსნა)
**მილუოკი:** ვან ჰორნი (32)

### აღმოსავლეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ნიუ ჯერსი | 41 | 28 | 59,4 |
| მაიამი | 33 | 37 | 47,1 |
| ნიუ იორკი | 32 | 38 | 45,7 |
| ბოსტონი | 31 | 40 | 43,7 |
| ფილადელფია | 28 | 42 | 40,0 |
| ვაშინგტონი | 22 | 47 | 31,9 |
| ორლანდო | 19 | 53 | 26,4 |
| **ცენტრალური** | | | |
| ინდიანა | 50 | 19 | 72,5 |
| დეტროიტი | 46 | 25 | 64,8 |
| ნიუ ორლეანი | 36 | 34 | 51,4 |
| მილუოკი | 34 | 35 | 49,3 |
| კლივლენდი | 31 | 38 | 44,9 |
| ტორონტო | 30 | 39 | 43,5 |
| ატლანტა | 22 | 48 | 31,4 |
| ჩიკაგო | 20 | 49 | 29,0 |

### დასავლეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **შუა-დასავლეთი** | | | |
| მინესოტა | 48 | 22 | 68,6 |
| სან ანტონიო | 46 | 24 | 65,7 |
| დალასი | 44 | 25 | 63,8 |
| მემფისი | 43 | 26 | 62,3 |
| ჰიუსტონი | 39 | 29 | 57,4 |
| იუტა | 36 | 34 | 51,4 |
| დენვერი | 36 | 35 | 50,7 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| საკრამენტო | 51 | 19 | 72,9 |
| ლეიკერსი | 47 | 23 | 67,1 |
| პორტლენდი | 35 | 34 | 50,7 |
| სიეტლი | 32 | 38 | 45,7 |
| გოლდენ სტეიტი | 29 | 40 | 42,0 |
| კლიპერსი | 27 | 43 | 38,6 |
| ფინიქსი | 23 | 47 | 32,9 |

*მთავრული შრიფტით გამორჩეულია პლეი ოფში გასული გუნდი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ჩემპიონატი

22 მარტი. ვერის ბაღი

**დინამო 105:81 სტუ**

28:24 26:19 22:18 29:20

**დინამო:** ქლენტი (13), გოგობერიშვილი (24), ბეჟანიშვილი (19), კეიდია (6), მუშკუდიანი (4); ლოსაბერიძე (13), მინაშვილი (12), აბულაძე (6), ხოშტარია (4), ჩუბინიძე (4), გვიმრაძე
**სტუ:** ნიკოლაძე (6), გაგნიძე (7), დავითულიანი (9), ახალკაცი (4), ჯაფარიძე (12); შანიძე (21), ქისტაური (9), ოგანესიანი (6), მიქაძე (3), ლაფანაშვილი (2), კოხრეიძე (2)
**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
**კომისარი:** მურმან ქურიძე

**მაკაბი 92:66 ქუთაისი**

28:10 18:19 22:14 24:23

**მაკაბი:** ნინოშვილი (29), ბადრიძე (4), წოწელია (18), ვაშაკიძე (20), სუხიშვილი (6); ტატუნაშვილი (7), ერგემლიძე (6), კონჯარია (2)
**ქუთაისი:** შავლაყაძე (9), პირტახია (15), ცერცვაძე (8), კოლუაშვილი (8), შანიძე (19); ნიჟარაძე (7)
**მსაჯები:** ზურაბ ანდრიაძე, ლიკა ქაჯაია
**კომისარი:** როლანდ ხომერიკი



რამაზ გოგობერიშვილის „დინამოს" გიორგი ნიკოლაძის „სტუ-ჯეოსელი" ბოლო-ბოლო გააჩერა

## თეთრი ბაირაღები

### დინამომ შური ტექნიკურად იძია

რაც „დინამოს" „სტუ-ჯეოსელის" ბოლომა დაჰგროვებოდა, გუშინ ერთიანად იყარა ჯავრი. ტექნიკოსებს მართლაც გაწამებული ჰყავდათ ჩემპიონები — ეროვნული ჩემპიონატში ამ სეზონში 2 მატჩი მოუგეს, სექტემბერში დუდუ დადიანის თასი აართვეს, ხოლო ახლახან ბათუმში დასრულებულ თასის გათამაშების ნახევარფინალურ ეტაპზეც გააწბილეს, გუშინ კი დინამოელებმა დასუსტებული „სტუ-ჯეოსელი" გამოიჭირეს და 24-ქულიანი მარცხით აზღვევინეს ყველაფერი.

მოგება მოგებად, მაგრამ დინამოელები გემოზე მაინც ვერ მოიფხანდნენ გულს, რაკი სტუ მათ განახევრებული შემადგენლობით ეთამაშა. ბოლო დროს ტრავმებისგან გაწამებულ ტექნიკოსებს ძირითადის სამი კაცი აკლდათ. ხეცურიანი, ბაბიაშვილი და მარკოიშვილი მატჩს ტრიბუნიდან ადევნებდნენ თვალს. თავიანთი დასუსტებული გუნდის წარმატებისა ალბათ მათაც არ სჯეროდათ.

რაც საბოლოოდ მოხდა, ლოგიკურია, თუმც სანამ „დინამო" თამაშს დაალაგებდა, ტექნიკოსები მცირე ხნით აგემოვნებდნენ ლიდერობას. სტუ-მ ორი ცენტრით, ჯაფარიძით და ახალკაცით დაიწყო თამაში, მაგრამ უკანა ხაზიდან საფრთხე რომ დაემუქრა, ახალკაცის ნაცვლად შედარებით მსუბუქი შანიძე გამოიყვანა. სწორედ შანიძის ჩუბინობის წყალობით დაწინაურდა სტუ. მე-5 წუთისთვის ნუგზარ ჭეიშვილის გუნდი 15:9 იგებდა.

ასე არ გამოვაო და „დინამოს" თავმა დრაჟენ ბრაიკოვიჩმა წუთშესვენება აიღო. ხორვატმა შეგირდებს რა უთხრა, ვერ გეტყვით, თუმც რაღაც ჭკვიანური რომ უკარნახა, მალევე გამოჩნდა. დინამოელებმა მომდევნო ორწუთეული 10:0 მოიგეს, რაშიც რამაზ გოგობერიშვილს ლომის წილი მიუძღვის 3 სამქულიანით. ჩემპიონებმა სიჩქარე აკრიფეს, თუმც პირველი მეოთხედის უკანასკნელ წამებზე ახმახი არმენ ოგანესიანის მოულოდნელმა სამქულიანმა ბრაიკოვიჩელები დაამუხრუჭა.

პირველი მცირე შესვენების შემდეგ მოედანზე ირაკლი ხოშტარია და ვახტანგ მანაშვილი გამოჩნდნენ და „დინამოს" შეტევები უფრო გამძაფრდა. სტუ-მ კვლავ ორი ცენტრით განიზრახა თამაში, მაგრამ მოედანზე ოგანესიანისა და ჯაფარიძის ერთად ყოფნამ ის შედეგი მოიტანა, რომ „დინამოს" დაბლებმა ტექნიკოსთა ფარისკენ გზები გაკვალეს და ქულებსაც უხვად იხვეჭდნენ.

„დინამოს" სასარგებლოდ ანგარიშის ზრდამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო, სტუ-მ ტაიმი 11 ქულით წააგო, გადამწყვეტი მეოთხედის წინ კი უკვე 61:75 აგებდა. სტუ-ს შემადგენლობაში განაცხადის შესაბამისად დუბლიორებიდან დამატებული ბიჭები გამოჩნდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ტექნიკოსებმა თეთრი ბაირაღი გამოფინეს.

**ირაკლი პერტაია**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 24 | 22 | 2 | +648 | 46 |
| დინამო | 24 | 19 | 5 | +553 | 43 |
| სტუ | 25 | 17 | 8 | +326 | 42 |
| თსუ | 25 | 15 | 10 | +117 | 40 |
| რუსთავი | 24 | 13 | 11 | +152 | 37 |
| მაკაბი | 24 | 9 | 15 | -122 | 33 |
| სსუ | 25 | 4 | 21 | -625 | 29 |
| ქუთაისი | 27 | 0 | 27 | -1049 | 27 |



## ჟუსტინმა ყველა გააჟუჟა

### ანუ როგორ მოვიპოვოთ სწრაფი მილიონი



REUTERS

როჯერ ფედერერი პრაქტიკულად დაუმარცხებელია

**PACIFIC LIFE OPEN**

**ინდიან უელსი. მაგარსაფარი კაცები. საპრიზო 2,78 მილიონი $**

**ფინალი**

**როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ტიმ ჰენმანი (9, ბრიტანეთი) 6:3, 6:3**

22 წლის როჯერ ფედერერს საათზე მხოლოდ ექვსი წუთით მეტი დასჭირდა საიმისოდ, რათა ერთბაშად ბევრი რამ გაღაესხვაფერებინა — თავის საამსეზონო ტიტულმარაგი სამამდე, ხოლო საკარიერო 14-მდე აეყვანა; პირადი ბიუჯეტი 421 600 დოლარით გაემდიდრებინა; გამხდარიყო პირველი შვეიცარიელი, ინდიან უელსში რომ უმარჯვია; ჩემპიონთა რბოლაში 100 ქულიანი შენატანით უკვე 221 ქულით დაეძუძგა მეორეადგილოსან მარატ საფინისგან და რაც ეგებ ამ ყველაფერზე არანაკლები იყოს, ტიმ ჰენმანთან აქამდე არსებული ხუთწაგებიანი (1:6) დეფიციტი მცირედ მაინც ამოევსო.

დიახ — დახვეწილ კუნძულელს მასზე შვიდი წლით უმცროსი შვეიცარიელი აქამდე მართლაც ექვსჯერ დაეჩოგნა და ის ერთიც, შარშანწინდელ მაიამობაზე რომ დაუთმო, კისრის ტრავმის გამო შეწყვიტა. ჰენმანისავე ანგარიშზეა ფედერერის ერთადერთი საამსეზონო მარცხიც (როტერდამულ მეოთხედფინალში). მაგრამ ამიერიდან ალპელის ყოველი ასეთი წაფორხილება გამონაკლისად უფრო უნდა მიიჩნეს, ვიდრე წესად, რაკიღა ის ახლა — და ეს წლეულს ადრეც გვითქვამს — თვით აქილევსზე უფრო მოუწყვლელი მებრძოლია.

თავად განსაჯეთ. ექვსი ინდიანუელსური მატჩისას ფედერერმა მეტოქეებს მხოლოდ ერთი სეტი დაანება. წლეულს ჰენმანისგან როტერდამში ნაწვნევი მარცხის წილ ის უკვე 22 გამარჯვებას მოიძევს, სულ კი — თუკი შარშანდელი ჰიუსტონობიდან ავითვლით — ეს ერთი წაგება უკვე ბოლო 28-მატჩეულზე მოუდის.

სწორედ ამიტომ იყო, ჰენმანს მის სახოტბოდ ნამატჩევს ფერადები რომ არ ელეოდა და ასე ამბობდა — მან დღეს კიდევ ერთხელ ცხადყო, მსოფლიოში რომ ბადალი არ მოეძებნებაო.

თავად ბრიტისთვის ეს უკვე მეორე იქაური ფინალი იყო და ამკვირანდლის მსგავსად, ის შარშანწინაც სეტისმოუგებლად დამარცხდა (ლეიტონ ჰიუიტთან).

ჰენმანი თავს იმით ინუგეშებდა, რომ ტურნირი მაინც სოლიდურად ბიუჯეტშევსებულმა დატოვა და ორსავე რეიტინგსიაშიც ზეაიწია — განთესვისაში ორი ადგილით დაწინაურდა და მერვეზე დამკვიდრდა, ხოლო რბოლაში სულაც ათით ამაღლდა და მეშვიდეზე დადგა.

თუმცა, თუკი ნაიმკვირევს ვისიმე სარეიტინგო აღმასვლაზე უნდა ვისაუბროთ, ეგ უწინარესად თავის პირველ საეტიპიო ნახევარფინალამდე ნაომარი ირაკლი ლაბაძეა. ქართველმა მეჩოგნემ განთესვის რეიტინგსიაში 90-ე ადგილიდან 55-მდე აინაცვლა, ჩემპიონთა რბოლაში კი პოზიცია უჩვეულოდ ზორბა, 103-ადგილიანი ნაბიჯით გაიუმჯობესა — კალიფორნიულ უდაბნოში ნაშოვნი 45 ქულის წყალობით ის ახლა ამერიკელ ტაილორ დენტთან ერთად 32 საფეხურს იყოფს.

**ქალები. საპრიზო 2,1 მილიონი $**

**ფინალი**

**ჟუსტინ ენენ-არდენი (1, ბელგია) — ლინდსი დევენპორტი (3, აშშ) 6:1, 6:4**

სერენა უილიამსის არყოფნაში ჟუსტინ ენენი ქალთა საჩოგნეთში დომინირებასა და რეკორდების შემუსვრას კვლავაც ეშხიანად და გაუსაჩივრებლად განაგრძობს. მისი ზღაპრული და მიზანმიმართული წინსვლის შეჩერება ვერც ინდიან უელსის ორგზის ჩემპიონმა (1997, 2000) და ოთხგზის ფინალისტმა (1998, 2003) ლინდსი დევენპორტმა შეძლო, 27 წლის კალიფორნიელმა, ვინაც მშობლიურ სანახებში კარიერის მეორმოცე ტიტულზე ნადირობდა. 21 წლის ჭინკა ბელგიელი მას საათსა და 22 წუთში გაუსწორდა, ისე, რომ მატჩის სადავეები ერთხელაც არ მობოშებია.

შედეგად — სეზონის მეოთხე, ხოლო კარიერის მეთვრამეტე ტიტული საპრიზოდ დათქმული 332 ათასი დოლარითა და ორი საყველადროო რეკორდიდურთ. ამ რეკორდების არსი კი ასეთია: ერთი ის, რომ ენენი გახდა ერთ სეზონში მილიონი დოლარის უსწრაფესად მომგროვებელი ქალმეჩოგნე (ანუ ნაინდიანუელსევს არასოდეს არც ერთ მეჩოგნე ქალს სასეზონო ყულაბაში მილიონი დოლარი არ ჰქონია); და მეორეც ის, რომ ამ ტურნირის შემდეგ ჟუსტინმა 7726 სარეიტინგო ქულა მოიქუჩა, ანუ იმდენი, რამდენიც ვერაქალს ვერასოდეს მოექუჩებინა. წინა რეკორდი ეკუთვნოდა სერენა უილიამსს, რომელმაც 2003 წლის 4 თებერვლისთვის 7273 ქულას მოუკრა ჭიპი.



REUTERS

ჟუსტინ ენენ-არდენი ქალთა ჩოგბურთში მაფრთხობელად იქცა

აქ მხოლოდ იმასღა შევახსენებთ, რომ ჟინკა ჟუსტინი ჯერაც 21 წლის გოგოცუნა გახლავსთ.

**ლევან ძელაურაძე**

## ამბერის ტურნირი

მონტე-კარლო. 20 მარტი-1 აპრილი

# ამბერის ამბები

## ანანდმა დაუხედავს ვერ დახედა

**კაზინოებსა** და აზარტის საუფლო მონტე-კარლოში ვისთვის საინტერესო და ვისთვის დამახინჯებული ჭადრაკის ტურნირი დაიწყო, რომელიც ამბერის სახელწოდებითაა ცნობილი. გათამაშება, სხვა ტურნირებისგან განსხვავებით, საკმაოდ ორიგინალურად მიმდინარეობს. აქ შეკრებილი 12 მოჭადრაკე ერთმანეთს ორ პარტიას ეთამაშება — დაფაზე დაუხედავ ანუ „თვალხუჭუნას“ და „სწრაფს“. შესაბამისად დგება სამი ცხრილი სწრაფებისთვის, თვალხუჭუნებისთვის და საერთო. მესამე ცხრილი არკვევს კიდეც გამარჯვებულს.

გათამაშებას ჰოლანდიელი მეცენატი ვან ოსტერი აფინანსებს და საპრიზო თანხად 193 ათას დოლარს გამოდის.

რიგით მე-13 ამბერის ფავორიტად ტურნირის სამგზის მომგები და შარშანდელი ტრიუმფატორი ინდოელი ვიშვანათან ანანდია მიჩნეული. გასულ წელს ინდუსმა სწრაფ და დაფაზე დაუხედავ ცხრილში მეორე და მესამე ადგილები დაიკავა, თუმც საერთო ჩათვლაში ყველაზე მეტი ქულა აღმოაჩნდა და მთავარი პრიზიც მას დარჩა.

შარშანდელის მსგავსად, ტურნირის ფავორიტმა თამაში მისთვის წარუმატებლად, ორი ყაიმით დაიწყო. ინდუსი რუს პეტერ სვიდლერს ჯერ თვალახვეული დაუზავდა, შემდეგ კი იგივე შედეგი შავი ფიგურებით სწრაფად მოთამაშემ გაიმეორა.

პირველივე ტურში საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა სვიდლერის სამივე თანამემამულემ — ვლადიმერ კრამნიკმა, ევგენი ბარეევმა და ალექსანდრ მოროზევიჩმა. მათ თავიანთ მეტოქეებს ორივე შეხვედრაში სძლიეს და ცხრილის თავში შემოსკუპდნენ. შეგახსენებთ, რომ ბარეევმა შარშან სწრაფ ტურნირში იმარჯვა, კრამნიკმა კი თვალხუჭუნაში.

## ევროპის ქალთა ჩემპიონატი

დრეზდენი. 20 მარტი-4 აპრილი

# ქართველებმა შავებით დაიწყეს და მოიგეს

I ტური

**ელენა პარტაკი (მოლდავეთი) — ნანა ძაგნიძე (საქართველო) 0:1; თინა მეიტზნერი (გერმანია) — ქეთევან არახამია-გრანტი (საქართველო) 0:1; ოლგა ვასილევი (ისრაელი) — ნინო ხურციძე (საქართველო) 0:1; კლაუდია მაისნერი (გერმანია) — მაია ლომინეიშვილი (საქართველო) 0:1**

*(მოცემულია მხოლოდ ქართველთა შედეგები)*

რიგით მეხუთე ქალთა ევროპის ჩემპიონატს დრეზდენი მასპინძლობს. შეჯიბრებაში სულ 108 მოჭადრაკე მონაწილეობს და აქედან ოთხი ქართველია — ნანა ძაგნიძე, ქეთევან არახამია-გრანტი, ნინო ხურციძე და მაია ლომინეიშვილი. ჩემპიონატის საპრიზო ფონდი 31 ათასი ევროა და პირველ ადგილზე გასული 4 ათასს მიიღებს. ტურნირი შვეიცარიული სისტემით მიმდინარეობს.

ქართველთაგან რეიტინგის მიხედვით ყველაზე კარგი მდგომარეობა ძაგნიძეს უკავია, იგი მონაწილეთა სიაში მეხუთეა. ძაგნიძეს უსწრებენ შარშანდელი ჩემპიონი შვედი პია კრამლინგი, ბულგარელი ანტოანეტა სტეპანოვა, რუსი დიდოსტატ-მსახიობმოდელი ალექსანდრა კოსტენიუკი და 2000 წლის გამარჯვებული, უკრაინელი ნატალია ჟუკოვა.



ნანა ძაგნიძემ პირველ მეტოქეს მოუგო

პირველივე ტურში ყველა ფავორიტმა იმარჯვა და მათ შორის ოთხივე ჩვენებურმაც, რომელნიც შავი ფიგურებით თამაშობდნენ.

ძაგნიძე ჩემიონატის რეიტინგსიაში 58-ე საფეხურზე მდგომ პარტაკს დაუპირისპირდა.

ნანამ მოლდაველთან სიცილიური დაცვა არჩია და მე-7 სვლაზე ლაზიერიც გაუცვალა. დაფის გული მალე ფიგურებით დაიფარა და ნანამ ყურადღება დროებით დაცვაზე გადაიტანა, პარტაკმა კი ამით ისარგებლა და შეუტია. ნანას ფლანგი საიმედოდ ჰქონდა გამაგრებული, აბეზარი მეტოქე იოლად უკუაგდო და საპასუხო დარტყმაც მიაყენა. პარალელურად A ხაზზე მოძრავი პაიკი ჩასათვლელ ხაზისკენ გაუშვა. 36-ე სვლაზე მოიერიშე პაიკის შესაჩერებლად თეთრმა ოფიცერმა თავი გაწირა, ხოლო მისიანები შავი მეფის პალატისკენ მთელი ძალებით დაიძრნენ. ფიგურით უპირატესობაში დარჩენილმა ნანამ საკუთარი ხელმწიფე თავდამსხმელებისგან ადვილად დაიცვა და 51-ე სვლაზე მეტოქის „ციხეზე“ გამარჯვებულის ალამიც აღმართა.

**ლაშა გეგეჭკორი**



## NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ფიოდოროვმა ფრთებს ფრთა შემოჰკრა

21 მარტი

**ანაჰაიმი 8:6 დეტროიტი**

*2:3 3:2 3:1*

**0:1 დაციუკი (3), 0:2 ჰალი (6), 0:3 აიზერმანი (7), 1:3 ლუპული (14), 2:3 რუჩინი (16), 3:3 პოლსონი (23), 4:3 ფიოდოროვი (23), 5:3 სიკორა (24), 5:4 ლიდსტრიომი (26), 5:5 რივერსი (37), 5:6 უიტანი (42), 6:6 ვიშნევსკი (43), 7:6 ფიოდოროვი (48), 8:6 რუჩინი (60)**

სერგეი ფიოდოროვმა ყოფილ გუნდთან შეხვედრაში იპოვა თავისი თავი და ახალ პარტნიორებს გამარჯვებაშიც ძალიან დაეხმარა. 13 წელს უერთგულა რუსმა „დეტროიტს“, მის რიგებში 3-ჯერ თასიც მოიპოვა და ზაფხულში საკმაოდ მოულოდნელად, კონფლიქტით დატოვა იგი. ეგებ სერგეის აღარც კი დაუდგეს დიდი ტრიუმფის ჟამი, მაგრამ ამ მატჩში ნამდვილად იგრძნო მეფედ თავი.

„დეტროიტთან“ ჩატარებულ წინა სამ შეხვედრაში რუსი აშკარად დაბნეული ჩანდა. მით უმეტეს, რომ მოტორების ქალაქში ყოფილ კერპს სტვენითა და უკმაყოფილო შეძახილებით შეხვდნენ. ახლა თამაში ანაჰაიმში იყო და სერგეიმაც ფრთები გაშალა. თამაშის ხასიათმაც ძალიან შეუწყო ხელი — ლაღი, შემტევი ჰოკეი გაჩაღდა და მეკარეებს დიდი ჯაფა დაადგათ. ანაჰაიმელ ჟან სებასტიან ჟიგერს 51(!) დარტყმას მოღება მოუხდა. აქედან ექვსი კი გაუშვა, მაგრამ მასპინძლები უფრო იღბლიანები გამოდგნენ. საბოლოოდ ყველაფერი ფიოდოროვის (მთლიანობაში 3 ქულა დააგროვა) გოლმა გადაწყვიტა.

„გიჟური თამაში იყო. ჯერ რამდენჯერ შეიცვალა ვითარება, ხან ისინი იგებდნენ, ხან — ჩვენ. მერე არავითარი დაცვითი თამაში არ იყო და ძალიან დავიღალე. თითქოს 80-იანი წლები დაბრუნდა — თქვა ნამატჩევს ფიოდოროვმა.

**სან ხოსე 2:5 ედმონტონი**

*1:2 1:1 0:2*

**0:1 კროსი (4), 1:1 მარლო (10), 1:2 ბერჟერონი (19), 2:2 მაკლარენი (24), 2:3 ჯ. სმიტი (32), 2:4 ბრიუერი (44), 2:5 ბერჟერონი (50)**

**ვანკუვერი 4:5 კოლუმბუსი**

*2:1 1:1 1:3*

**1:0 მორისონი (3), 2:0 ჰ. სედინი (4), 2:1 ჰოლცინგერი (5), 2:2 ნეში (24), 3:2 ჩუბაროვი (40), 4:2 ჩუბაროვი (43), 4:3 ჟერდევი (49), 4:4 მარჩანტი (56), 4:5 ჟერდევი (59)**

**პიტსბურგი 4:3 რეინჯერსი**

*2:1 0:0 1:2 1:0*

**1:0 პირიეტა (6), 2:1 გრინი (12), 2:1 მტრბაკი (14), 2:2 მიურეი (43), 2:3 მოლიკი (43), 3:3 ტარნსტრიომი (59), 4:3 მოროზოვი (65)**

ესეც შენი „პიტსბურგი“! აუტსაიდერმა ბოლო 7 მატჩში 5-ჯერ მოიგო.

**აილენდერსი 3:0 ტამპა**

*1:0 0:0 2:0*

**1:0 პერიში (19), 2:0 პეკა (52), 3:0 ოკოინი (55)**

**ჩიკაგო 2:2 ფინიქსი**

*1:0 1:1 0:1 0:0*

**1:0 დაზე (8), 2:0 არნასონი (26), 2:1 კლირი (32), 2:2 კომრი (51)**

**აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპა | 76 | 42 | 8 | 5 | 21 | 223:178 | 97 |
| ფილადელფია | 76 | 38 | 14 | 6 | 18 | 216:171 | 96 |
| ბოსტონი | 75 | 37 | 14 | 7 | 17 | 191:170 | 95 |
| ტორონტო | 76 | 41 | 9 | 3 | 23 | 223:193 | 94 |
| ოტავა | 75 | 39 | 9 | 6 | 21 | 241:168 | 93 |
| მონრეალი | 76 | 40 | 7 | 3 | 26 | 198:173 | 90 |
| ნიუ ჯერსი | 75 | 38 | 12 | 2 | 23 | 189:152 | 90 |
| აილენდერსი | 75 | 34 | 10 | 4 | 27 | 212:194 | 82 |
| ბუფალო | 75 | 33 | 6 | 4 | 32 | 198:206 | 76 |
| ატლანტა | 76 | 30 | 8 | 4 | 34 | 202:228 | 72 |
| კაროლინა | 75 | 26 | 13 | 6 | 30 | 151:183 | 71 |
| ფლორიდა | 75 | 27 | 14 | 3 | 31 | 167:195 | 71 |
| რეინჯერსი | 76 | 25 | 7 | 8 | 36 | 193:229 | 65 |
| ვაშინგტონი | 75 | 22 | 9 | 2 | 42 | 171:231 | 55 |
| პიტსბურგი | 76 | 20 | 7 | 4 | 45 | 173:285 | 51 |

**დასავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 75 | 43 | 11 | 2 | 19 | 236:172 | 99 |
| კოლორადო | 75 | 28 | 12 | 5 | 20 | 222:181 | 93 |
| სან ხოსე | 75 | 37 | 12 | 6 | 20 | 198:171 | 92 |
| დალასი | 75 | 38 | 13 | 0 | 24 | 175:158 | 89 |
| ვანკუვერი | 76 | 37 | 10 | 5 | 24 | 214:187 | 89 |
| კალგარი | 75 | 38 | 7 | 3 | 27 | 186:163 | 86 |
| ნეშვილი | 75 | 34 | 11 | 3 | 27 | 198:200 | 82 |
| სენტ ლუისი | 75 | 34 | 11 | 2 | 28 | 174:185 | 81 |
| ედმონტონი | 75 | 32 | 12 | 4 | 27 | 204:193 | 80 |
| ლოს ანჯელესი | 74 | 28 | 16 | 7 | 23 | 195:196 | 79 |
| ანაჰაიმი | 76 | 27 | 10 | 8 | 31 | 173:201 | 72 |
| მინესოტა | 74 | 25 | 20 | 2 | 27 | 161:164 | 72 |
| ფინიქსი | 75 | 20 | 18 | 6 | 31 | 180:224 | 64 |
| ჩიკაგო | 74 | 20 | 10 | 6 | 38 | 174:227 | 56 |
| კოლუმბუსი | 75 | 21 | 8 | 4 | 42 | 161:221 | 54 |

*პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან*
*მთავრული შრიფტით პლეი ოფში გასული გუნდებია აღნიშნული*



# მართვე ზაპოროჟიედან თამაშით დანაყრებული ჩამოფრინდა

# ხელის ქნევა ამხანაგურად

*წარმატებით ითამაშა საქართველოს ჭაბუკ ხელბურთელთა გუნდმა ზაპოროჟიეს ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში. შეჯიბრება, რომელსაც ქალაქის მერია ატარებს და რომელიც ამჯერადაც უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული, 1976 წლის მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ იური ლაგუტინის ხსოვნას ეძღვნებოდა*

საქართველოს, რუსეთის, მოლდოვას და უკრაინის 12 გუნდი ორ ჯგუფში გაანაწილეს. ჩვენი ბიჭები, რომლებიც ჯემალ ცერცვაძის სახელობის თბილისის ხელბურთის სკოლის, კლუბ „მართვეს“ წევრები არიან, პირველ მატჩში ორი ბურთით დამარცხდნენ (23:25) უკრაინის შვიდგზის ჩემპიონ „ზაპოროჟტრანსფორმატორის“ (ZTR) სარეზერვო გუნდთან, შემდეგ 36:24 სძლიეს „კიშინიოვს“, 30:23 „კრასნოდარს“, 32:28 „აკტიუბინსკს“ და „სლავიანოსერბსკთან“ 27:33 წაგება რომ არა, საპრიზო ადგილებისთვის გააგრძელებდნენ ბრძოლას. ისე კი მეხუთე ადგილისთვის მოუწიათ თამაში ზაპოროჟიეს „ალუმინსტროისთან“, რომელსაც დიდი სხვაობით მოუგეს — 41:20.

ფინალურ შეხვედრაში როსტოველებმა ოთხბურთიანი უპირატესობით აჯობეს ZTR-ს და ლამაზი თასიც დაისაკუთრეს. უპრიზოდ არც ქართველები დარჩენილან — მიხეილ საჯაია ტურნირის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს, საუკეთესოთა შორის გიორგი კვერნაძეც დაასახელეს.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი დელეგაციის დაბინავების და კვების ხარჯების გადახდა მასპინძლებმა ითავეს. გუნდთან ერთად ზაპოროჟიეში იმყოფებოდნენ თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამსახურის უფროსის მოადგილე ზაზა დოლიძე და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი რევაზ ჭანტურია.

ამ ექვსმა მატჩმა ჩვენს ბიჭებს, რომლებიც სათამაშო პრაქტიკას მოკლებულები არიან, რადგან საქართველოს ჩემპიონატის ჩატარებას საშველი ვერ დაადგა, ცხადია, დიდი სარგებლობა მოუტანა. „მართვეებმა“ ასეთი შემადგენლობით იასპარეზეს: გიორგი სამყურაშვილი, ალექსანდრე ხონელიძე, ირაკლი სიგუა, მიხეილ საჯაია, ირაკლი ქირია, ამირან ყიფიანი, ირაკლი სხიერელი, გიორგი კვერნაძე, გიორგი ჯოხაძე, ლევან ბერძენიშვილი, ზურაბ მელქოშვილი, შოთა გრიშიკაშვილი. გუნდის მწვრთნელები არიან ბექა ორჯონიკიძე და გიორგი გოცირიძე.

ერთი ზაპოროჟიული ამბავიც: ZTR-ის მთავარ გუნდში, რომელიც წაუგებლად ლიდერობს უკრაინის ჩემპიონატში, უკვე სამი თვეა, გამოდის 21 წლის რევაზ ჭანტურია. კლუბის ხელმძღვანელობა კმაყოფილია ქართველი ლეგიონერის თამაშით და იმედია, ზაფხულში კონტრაქტს გაუგრძელებენ.

**გია ახალაძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**გამომცემელი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**რედაქტორის მოადგილე** სოსო კოტორეიშვილი
**ტექნიკური რედაქტორი** მამუკა გუბელაძე
**ქართული ფეხბურთის რედაქცია:** დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
**უცხოური ფეხბურთის რედაქცია:** გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი:** ირაკლი ფირაშვილი
**ინფორმაციის რედაქცია:** გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
**კომპიუტერული ცენტრი:** ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge